

გამონათქვამი



I გოგი (სურათი) . . . . .	130
II დამარცხებული რაინდი ლექსი დ. თურდასშირეჯის . . . . .	131
III მოწყალე ადამიანი (თარგმანი) . . . . .	133
IV ქედანი გ. ქუჩიშვილის . . . . .	134
V მეგობრული გრძობა მაიმუნებში . . . . .	136
VI სამაგიერო ამბავი ჯაფარ გუგუშვილის . . . . .	137
VII ცელქი ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . .	146
VIII ბედის მწერლები ზღაპარი ნინო ენუქიძის . . . . .	147
IX დედა (თარგმანი) შემდეგი აქნება ა. ფ — სი. . . . .	152
X წვრილმანი: გამოცანები, რებუსი . . . . .	161
XI ზამბახის გლოვა ლექსი დ. თურდასშირეჯის . . . . .	162
XII ჯეკი. ცეცხლის მქრობელი რაზმის ძაღლი (თარგმანი) გაგრძელება ეკ. შესხის . . . . .	164
XIII ცრემლის ტბა ლევენდა (თარგმანი) თ. თარგმანიშვილის . . . . .	175
XIV ტარას შევჩენკო (50 წლის გამო) ა. ფ — სი. . . . .	177
XV მგონის საფლავი (ტარას შევჩენკოს ხსოვნას) ჯაფარ გუგუშვილის . . . . .	181
XVI შესანიშნავი ქვეყანა მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში. დიდ მემამულეთა ფერმები . . . . .	183
XVII თუთიყუშები ადექსი ჭიჭინაძის . . . . .	188

## მიიღება ხელის მოწერა 1911 წ.

ამ 1911 წ. ხელის მომწერლებს დაურიგდებათ სა-  
ხუქრათ ორი წიგნი.


1) ღვთის წყალობა დასურათებული მოთხრობა გიორგი  
წერეთლისა.

2) საყმაწვილო ამბების კრებული სურათებით.

„ჭკვილის“ რედ.—ში იყიდება ქუძდუგი ახალი გამოცემა:

„ცხოველების გამჭირახობა“ . . . . .	25 კ.
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . .	12 კ.
„საქართველოს ისტორია“, ორი ქართით ს. გარგაძის . . . . .	20 კ.

8-90



# საქმეწვილო, ნახატებიანი ქუჩნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპური, გახლი ყანაო!..  
ი. დ.

მარტი, 1911

◆ წელიწადი მეოცდარე ◆

ქუჩნალი	№
მარტი	№
ქუჩნალი	№
მარტი	№
ქუჩნალი	№
მარტი	№

4338  
F 4509


თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1911



გოგო არ ივიწყებს თავის მეგობარს!



წინაე ტყის ჰირას შეერილან  
სოფლის ბიჭები მრავლად,  
სისუსტე არვის ემჩნევა,  
თავს გრძნობენ სახსალაძათა.  
სურთ გადისადონ მისთანა  
ბრძოლა ფიცხელი, მედგარი,  
რომ გუბეებდ დგებოდეს  
ოფლი შუბლიდან მომსკდარი!  
ორ რაზმად ნაწილდებიან,


მაძაცს ირჩევენ სარდლებსა,  
ვათარცა გძირებს სჩუკვიათ,  
წელსე ირტყაძენ სანჯლებსა.

მოახტებიან ზურგსედა  
გამხმარ ჯოხისა ცხენებსა,  
თუ ერთი თავი აუშვი—  
ველარა შეაქენებსა.

თავს დაჭურიალებთ აძაგდ  
შეომრებს დროშა წითელი,  
მწუობრ-სმოვანობით გაისძის  
სიმღერა გამამხნეველი.

ჰა, ნაღარასაც ჩამოჰკრეს,  
დაიმრა ორთავ ლაშქარი,  
ცხენების თქარა-თქურითა  
ძთლად ირეოდა ძთა-ბარჩი!

ეველა მაძაცად იბრძოდა,  
სად იყო შიში-ყოყმანი,  
მათ განგაშს უერთდებოდა  
სალ-კლდეთა გამოსმობანი.



ამ სანახევით გულშია  
 შური აღებრა კელასა;  
 სთქვა: რაღა ბიჭი ვგოფილვარ,  
 თუ არ ვაჯობე ვეელასა.

მერანს დესი ჰკრა გვერდებში,  
 სმალი გაიძრო ძჭრელია;  
 მიჰქროლავს... სიფიცხისაგან  
 ტანთ უგლის ჟრუხანტელია!

მთელ რაზმსა ერთის შეტევით  
 მოსთიბავს გამალებული,  
 ვით მეფე მაკედონელი,—  
 შინ მივა გამარჯვებული.


მაგრამ ვაგლახათ: ჯირკვს ფესი  
 ანახდად გამოედება  
 და თავ-მომწონე რაინდი  
 ბურთივით გადაგორდება!

უგელას სიცილი წასკდებათ  
 ამგვარსა ფათერაკხედა  
 და ეიყინასა დასცემენ  
 დამარცხებულის თავხედა!

დ. თურდოხპირელი.



# გონივრული აღნიშვნა.



ველა აქებდა და აღიღებდა სატიმ ტა-  
ის, მის ხელ გაშლილობას და კე-  
თილ შობილობას.

ამბობდენ, რომ ამისთანა მოწვა-  
ლე აღნიშნა ქვეყანაზე არ გაჩენი-  
ლაო.

ამაზე სატიმ ტაისმა თავდაბლათ უპასუხა:

— მე სულაც არა ვარ ვეველაზე მოწვალე. ამას  
წინეთ, როდესაც ჩემ სტუმრებს ვაჩუქე ორმოცი აქ-  
ლეში, მინდობი გავედი სასეირნოთ და იქ ვნახე  
ერთი ღარიბი კაცი, რომელიც აგროვებდა ბალახ-ბუ-  
ლახებს, კერინხს, თავცეცხლას, რომ მითი ეყიდნა  
საჭმელათ ზური. მას შევეკითხე: შე საცოდავო მუშავ,  
აქ რას ეწვალები, რატომ არ მისვალ სატიმ ტაისთან,  
რომელიც ურიგებს ვეველას საჭმელ-სასმელს. მერე  
იცით რა მიპასუხა:

— ვინაც შეუძლიან თითონვე იძროძოს, მისთვის  
საჭირო არ. არი სხვისგან მოწვალეების მიღება.

— აი ის ღარიბი, ჩემო მეგობრებო, ათას წილად  
ჩემზე კეთილშობილი და მოწვალეა.

(თარგმანი)



# ქ ე დ ა ნ ი.



უა დღე მოახლოვებული იყო...  
ცხოველ-მეოფელი მზე დედა-  
მიწას ძალზე ახურებდა, ცეცხ-  
ლივით აფარვარებდა...

ნიაფი არსაიდან არ უბერავდა...  
ფრინველები დაბურულ ტყე-  
სა და ჭალებს შეჭფაროდენ...

სოფლის ბოლოში მდებარე  
დაცემულ მინდვრათ აქა-იქ რამ-  
დენიმე უსარძხარი თელის ხე  
მოსჩანდა...

მის ჩრდილ ქვეშ ვიღაც თო-  
ფიანი ახალგაზრდა კაცი ატუ-  
სულიყო და სულ-განახული გაუ-

მაძღარ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა...

ამ დროს საიდანღაც დაღლილ-დაქანცული ქედა-  
ნი მოჭფრინდა...

შემოჯდა თუ არა თელის ტოტზე, მაშინათვე დუ-  
ღუნი შორთო...

ისეთი სევდიანი იყო მისი ხმა, ისეთი, როგორც  
კამოსალმების ხარი; წმინდა, ვით ანგელოზთა კალო-  
ბა; ტკბილი, როგორათაც ნორჩი სიცოცხლე...



— ბუჭ! — უეცრად იგრიალა თოფმა და საბრალო ქედანმა შეისვე სმა გაკმინდა...

ცოდვით დაძმძიმებული წამლის გაძლილი ბოლი ნელ-ნელა ცისკენ მიიწლაფხებოდა ..


ტოტიდან მოსხლეტილი მშვიდი ფრინველი გულ-აღმა დაეცა ძირს...

საფანტისაგან დაფლეთილ მკერდიდან უძანკო სისხლი წვეთ-წვეთად გადმოსდიოდა...

მეუბრალებელმა მონადირემ არც-კი აცალა ლამაზი თვალები დაესუჭნა ქედანს, ისე უღვთოდ წაჭკლიჯა თავი და შორს გადისწოლა...

საზიზღარი!.. მოსისხლე ადამიანი!.. მსუნავი კუჭის ამოსაუორათ სიცოცხლესაც კი უსპობს საუვარელ ფრინველს... სტაცებს იმას, რაც თითონ არ ძიუცია..

გ. ქუჩიშვილი.



## მეგობრული გრძნობა მამიუნებში.



ერთმა მონადირემ მოჰკვლა დედა-მამი-  
მუნდი და თავის კარავში მიიტანა. ჰა-  
ტარა ხანს შემდეგ ორმოცდა ათიო-  
დე მამიუნდი კარავს მოესვია. ისინი  
ღრიალებდნენ, თათებს ატყვანებდნენ  
და მონადირეს ემუქრებოდნენ; ხოლო  
მაშინ დაიწიეს უკან, როდესაც მო-  
ნადირემ თოფი დაანახვა. მაგრამ მათ

ბელადმა არც მაშინ მიანება თავი: კბილებს აკრავს-  
ნებდა და ადგილიდან არ იძროდა. როდესაც დაინახა,  
რომ მუქარა არაფერში არ გამოადგა, კარავს სულ  
ასლო მიუახლოვდა და საბრალლო მანჭვით ევედრე-  
ბოდა მონადირეს, მიეცა მისთვის მეგობრის გვამი.  
ამხნაც მაშინვე მისცა გვამი, ბელადმა მამიუნმა გვამი  
მწუსარებით გულში ჩაიკრა და ისე წაიღო ამხანა-  
გებთან, რომელნიც იქვე ასლოს ელოდებოდნენ.

მონადირეები გაოცდნენ ამ სანახაობით და ზირო-  
ბა დასდეს კვლავ აღარ ინადირონ მამიუნებსე.

(თარგმანი)



# სამაგიერო.



უსხიანი, ცივი ზამთარი იყო. ქარი სი-  
სინით ჩაურბოდა მიდამოს და უინვის-  
გან დაზრულ არე-ძარეს სევდიანად  
აკენესებდა.

ცა მოიღრუბლა; დილიდანვე თო-  
ვა დაიწყო. მდინარე მიუჩნდა, თავისი  
სმაურობა ერთ ბუტბუტზე შესცვალა.

ფრინველთა ჟრიაბული კვლავინდებურად აღარ გაი-  
სმოდა. ბედურები სის ტოტებზე შემსხდარნი, სიცვი-  
ვისაგან ფეხებ ჩაწითლებულნი, ფრთებს იბერტუავდენ  
და ხან-გამოძვებით ნისკარტს ჩაჭკრაჯდენ სის გატრუ-  
სულ ელორტებს, რომ იქიდან რაძე ამოეკენკათ... და-  
ღონებული იყო მიდამო, დაძწუნებული იყო არე-  
ძარე; მსოფლოდ ყორანს უხაროცა, იგი კვლავინდებუ-  
რად თავს დასჩხაოდა ქვეყანას; თავისუფლად დაჭფრენ-  
და, ნადავლის ეტანებოდა და, რამეღ არსებასაც — თავისზე უფრო სუსტს — მოიხელებდა, ნისკარტს ჩასცემ-  
და, მუსრს გაავლებდა, ბოლოს მოულებდა.

ექიმ გიორგის სახლში ჩვეულებრივად ადრე გა-  
მოიღვიძეს. ჰატარა ბესიკი, გიორგის ვაჟი, სკოლა-  
ში წასასვლელად მოემზადა: ჩაიცვა, პირი დაიბანა,  
ისაუზმა და გზას გაუდგა. მას მოსამსახურე თან გაჭ-

ევა და წიგნებიც იმან წაძლო. ჰეტრე—ასე ეძახდნენ მოსამსახურეს—უოველ დილით მიაცილებდა ბესიკს სკოლაშიდის, იქიდან გამობრუნებული იყიდდა, რაც სადილისათვის საჭირო იყო და სანოვაგით დატვირთული შინ ბრუნდებოდა.

ბესიკს უხაროდა თოვლი, მხად იყო აელო, დაეკუმძნა და ესროლა ვინმესთვის, მაგრამ ჰეტრე უძლიდა:

— გაცვივდები, ჩემო ჰაწია ბატონო; შეჩვეული რომ იყვე, კიდევ შეიძლება, მაგრამ აბა, ესლა შენთვის ეს რომ არ ივარგებს?!

— არ უშავს-რა, ჰეტრე! არ გავცივდები.. დაეკუმძნი, რა მშვენიერი, ბამბასავით რბილი თოვლია... ვიშ, ვიშ! — უთხრა ბესიკმა ჰეტრეს და დაინარა თოვლის ასაღებად, მაგრამ ჰეტრემ წინააღმდეგობა გაუწია, არ დააცალა თოვლის აღება, ზეზე წამოაყენა.

კარგა მანძილი გაიარეს.

სასწავლებელთან ახლო, შესახვევში, ერთ ღარში სახლს ამოფარებოდა ვიღაც ჰატარა ეძაწვილი; ტანთ არ ეცვა საბრალოს, უბრალო კონკეში იყო გამოხვეული, ზოგან ხორცი უჩანდა და სიცივისაგან ძალზე ცანცანებდა. წვეული, ცივად მოსისინე ქარი მას ტანჯვას უასკეცებდა. საცოდავად გამოიყურებოდნენ მისი ღრმად ჩაფიქრებული თვალები... გამჟღელ-გამომვლელთ შველას სთხოვდა. ტანად მოდირო იყო, მაგრამ ისე კი, თუ დააკვირდებოდით, მასში ათი წლის ეძაწვილს-ღა იცნობდით... ზოგი კეთილის მყოფელი არ იშურებდა მისთვის გროშებს.

ჰეტრემ შორიდანვე შენიშნა ეს უძაწვილი; რადგან იცოდა ბესიკის გულ-ჩვილობის ამბავი, უნდოდა არ დაენახებინა იგი. ამ მიზნით შეძრეკ სერსს მიმართა: მარჯვნივ ამოუდგა ბესიკს და რაღაც გასართობ ამბავს მოუუვა; ბევრი ეცადა, მაგრამ მანც ვერას გახდა; ბესიკმა შენიშნა ობოლი, კონკებში განხვეული უძაწვილი და იმისკენ გადაიხრა. ჰეტრემ შეაჩერა.

— სკოლაში დაგაკვირებდა, ძამა შენი გაგვიწერება ჩვენ—ორთავეს, აბა როგორ შეიძლება... იქ კიდევ მასწავლებელი გაგიჯავრდება! — ეუბნებოდა ჰეტრემ და იმდენი ეცადა, რომ ბოლოს მანც სკოლისაკენ მიმართა ბესიკის სავალი გზა.


— ჰეტრე, ესლა მას აკი სცია; მოდი მივიდეთ, მე ზალტოს გავიხდი და მას ჩავაძმევ... ჩემო ჰეტრე, შენი ჭირიძე! — ემუდარებოდა ბესიკი.

მაგრამ ჰეტრემ ამაზე ფიქრის ადარ დააცალა, სკოლისაკენ წასვლას ამბლებდა, გადააჯობა და ძალე სკოლაში ამოაუოფინა თავი. თვითონ-კი თავის სექსისთვის გზას გაუდგა.

\*  
\*  
\*

მთელი დღე დაღონებული იყო ბესიკი. მასწავლებლის ასსნას უერს არ უგდებდა, მისი გონება ესლა იმ ობოლ უძაწვილს დასტრიალებდა, რომელიც ქუჩის შესახვევში კედელს ამოფარებოდა. თავის ამხანაგების სიცილ-კისკისში მონაწილეობას არ იღებდა.

ერთი მასწავლებელი ავად გამხდარიყო და ბესიკი სკოლიდან ჩვეულებრივზე ადრე დაითხოვეს, უკა-



ნასკნელი გაკვეთილი არ ჰქონდათ; ამიტომ ბესიკს უპეტრეოდ მოუხდა სახლში წასვლა. მიუხსლოვდა შესახვევს, ის ობოლი უმაწვილი ისევ იქ ნახა. სიცვივისაგან ხელები დაღურჯებოდა, ფეხებზე დაფლეთილი ფეხსაცმელი ეცვა. ბესიკი განშორდა თავის ამხანაგებს და მიუხსლოვდა სიცვივისაგან აკანკალებულ უმაწვილს.

— მოძხედე ობოლ-ღატაკს, მცია, ოჰ! მცია! — მიგმიგებდა უმაწვილი და ხელს ბესიკისკენ იშვერდა.

— წამოდი, წამოდი სახლში შე საბრალო, შე იქ გაჭმევ, გასძევ, გაგათობ! — უთხრა ბესიკმა.

უმაწვილი წაჭევა, ბესიკმა კეზში ეველაფერი გამოჰკითხა.

— შე, შენი ჭირიშე, ტიტო ძეკიან სახელად, — უთხრა ობოლმა ბესიკს, — მშობლები დრე დამეხრცენ და ესლა ღვთის ანაბარს ვარ დარჩენილი. ჩემი მშობლები უკიდურესი ღარიბები იყვნენ. ქალაქის განაპირას ერთი ქოხი გვედგა და ისიც ამ რამდენიშე ხნის წინეთ ქარმა წააქცია, გააპარტახა.

— კარგი, ჩემო ტიტო, აი, მალე სახლში მივაღთ და ეველაფერი მოეწეობა, შე დედას და მამას ვეტყვი, რომ შენ მიგიღონ, გიპატრონონ!

ბესიკმა ტიტოს სახლში შეკვანა ნებადაურთველად ვერ გაბედა; ქუჩაში დასტოვა და უთხრა.

— მოიცადე, შე ესლავე გამოვალი!

ბესიკი მოწეენილი შევიდა ოთახში, სასე დაღურეშილი ჰქონდა.

— რაა, შვილო, რამ მოგაწეინა? — დაეკითხა დე-

და. — ეგრე ადრე რად წამოხველ, შეუძლოთ ხომ არ ხარ, შვილო?

— არა, ძაგრამ.

— ძაგრამ რა, შვილო!..

— ის... დედა, რომ მასწავლებელი ავად გამხდარა! — ვერ ბედავდა ბესიკი ეთქვა, რისი თქმაც უნდოდა.

— მე რე ამან დაგაღონა? შენ შემოგვევლოს დედა, მოჩჩება შვილო, ყოველთვის ავად ხომ არ იქნება, — უთხრა დედა, თავსე ხელი გადაუსვა და მოესაუვარლა.

— დედა, ძალიან გიუვარვარ?!

— ძალიან შვილო, შენსე უკეთ ვინ შეუვარება?

— აბა, ერთი მცირე რამ მინდა გთხოვო, შემისრულებ?

— თუ შეძიძლია შვილო...

— როგორ არა, დედა, შენ შეგიძლია... აგერ ქუჩაში ერთი საწყალი, კონკეში გახვეული ეძაწვილი ვნახე, ხელი გამომიწოდა.. ისე შესცივნოდა, ისე, რომ სულ ერთიან ცხსცახებდა. მე თავლსე ცრემლები მომადგა, გული ამიჩქროლდა!.. მოვიუვანოთ, დედა, სახლში, ცოდოა, ობოლია!.. ემუდარებოდა და ხელს უკოცნიდა დედას.

— კარგი შვილო, ძაგრამ ძაძა შენი რომ გაჯავრდეს?

— არა, ძაძა არ გაჯავრდება, ის გულკეთილია!

— უთხრა ბესიკმა, რომელიც სინარულით ცხს ეწია. ადგა, შემოიუვანა ტიტო, ჩააცვა თავისი თბილი

ტანისამოსი, ცეცხლთან მიიუვანა, გაათბო, შემდეგ ჰურცი აჭაძა; თვითონაც გამსიარულდა და ტიტოსაც სასიხარულო ამბებს უამბობდა.

მშობლებმა ნება დართეს ბესიკს ტიტო თავისთან ჰყოლოდა; დამეგობრდენ პატარები. პეტრეს მაგიერ სკოლაში ესლა ბესიკს ტიტო დაჰყვებოდა.

\* \*  
\*

ამ ქალაქს სოფელიც თან აკრავს. აღმოსავლეთით მთა მდებარეობს. გასაფხულის პირად, როდესაც მზე უკვე საკმოდ ათობდა მიდამოს და ჩირგვის ქვეშ აგერ-აგერ ლურჯ კაბიან იას თავი ამოეყო, ჩვენი მეგობრები—ბესიკი და ტიტო—წავიდენ იას მოსაკრეფად, რომ ლამაზი თაიგული შეეკრათ.

— მეზობლიანთ სოსოს მშვენიერი თაიგული აქვს გაკეთებული; მოდი, ჩვენც წავიდეთ მთაში და ასეთივე თაიგული შეეკრათ იასაცან! რა მშვენიერება იქნება! წავიდეთ ტიტო!—უთხრა ბესიკმა.

ტიტო უარზე იდგა:

— შენი მშობლები გაგვიჯავრდებიან, ბესიკ! რა გვინდა მთაში; აქ ვიუკეთ, აქ უძჯობესია!

— არა, არა! აქ არ ვარგა; იქ არის კარგი, იქ — მთაში... წავიდეთ, წავიდეთ! — ემუდარებოდა ბესიკი; იმდენი ეცადა, რომ ბოლოა მანაც დაიყოლია და ორივენი გზას გაუდგენ.

მთა ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა. ზოგი ხე უკვე ფოთლებით შემოსილიყო, — ნორჩ, სათუთ ფოთლებით; ზოგს ელორტები ეს-ეს არის გამოქსნა, კიდევ ცოტა ხანი და ისიც აჟვავდებოდა, შეიმოსებოდა. ჩირ-



გვი და ჩირკვის ქვეშ ნაზად თაუ-დასრილი, გულ მკერდ გადაღვდილი ია მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდენ.

ბესიკი და ტიტო მოედნენ მთას, დაეწაფენ სურნელოვან იის კრეკას. ისე გაერთვნენ, რომ აღარც-კი შეეძინევიათ, თუ როგორ ღრმად შესტოპეს მთის სშირ ტუეში. იქ ასე შორს წასვლა ჰატარებისთვის საშიშიც იყო.

ამ დილით, სოფელში, ერთ ცოფიან ძაღლს დიდი ხანი დასდევდენ ჯოხებით შეიარაღებული ბიჭები და მანც ვერა გააწვეკეს-რა, ვერ მოჰკლეს. მაგრამ მანც არ ეშვებოდენ, — დაბეჯს ჰატარებს და ცოდოში ჩავარდებითო.

ძაღლმა მთა აირბინა, კენწეოროსე მოექცა. მდევრები ზოგნი დაიღალენ და ქანც-მილეულნი უკან ჩამორჩნენ; სოლო მათში ორი უფრო მარჯვე ბიჭები არ ეშვებოდენ. ძაღლი დაღმართში დაეშვა, ისინიც გამოედვნენ.

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი! — ევიროდენ ისინი და გამალებით მისდევდენ ძაღლს. ძაღლი სწორედ იმ ადგილისკენ მიემართებოდა, სადაც ბესიკი და ტიტო იას ჰკრეფდენ.

ევირილი შემოესმათ, მაგრამ ეური არ ათხოვეს, იის კრეფით იუვენ გართულნი.

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი! — შემოესმათ ევირილი ხელ-მეორედ. სმა ესლა ანლო ადგალიდან მოისპოდა. ემაწვილებს შეეშინდათ, დაუერთნენ. ათასმა



სსვა-და-სსვა გვარმა ფიქრებმა გაუეღვეს თავში. ბესიკი სულ ერთიან დაიბნა, ტიტო-კი იძუდს არ ჰკარგავდა.

— არ შეგეშინდეს, ბესიკ, უოხადად იუავ! — დაამედა ტიტომ და ერთი მოდიდო სიდან ჩამონავარდი ტოტი ხელში მოიძარჯვა:

— ესლავ გავუთავებ ანგარიშს; აქეთ თუ წამოვიდა აი, ამ ჯოხს დავარტყამ!

ძაღლმა ჩირგუებიდან თავი გამოჰყო და პირდაპირ ბესიკისაკენ გაემართა, რომელიც ხეს ამოფარებოდა. ბესიკი შიშისაკან ცახცახებდა; ეს შენიშნა ტიტომ, ძაღლს გზა გადაუღობა, მამაცურად მოუქნია ჯოხი და თავში ღონივრად დაარტყა. ძაღლი წაბარბაცდა. მან კიდევ ერთხელ ღონივრად დაარტყა.

ამ დროს მღევრებიც გამოჩნდნენ. გაიკვირვეს ბავშვის ასეთი სიძაძაცე, მიემშველენ ტიტოს და ძაღლი ჩაჰქოლეს.

— უოხად, პატარავ, უოხად! ჩვენ მთელი დღე ვსდევნეთ და შენ კი... უოხად მე და ჩემმა ღმერთმა, უოხად! — უთხრეს მღევრებმა — გლეხებმა ტიტოს და ძაღლობის ნიშნათ თვალები დაუკოცნეს.

ბესიკი და ტიტო შინ დაბრუნდნენ; მთელი დღე არ გაუმსულიათ ეს ამბავი. ღამით, ძილის წინ, ბესიკმა დედას უველაფერი უამბო.

დედა შეკრთა, პირველად შიშმა აიტანა, მაგრამ შემდეგ სინარულის გამო თვალები ცრემლით ავესო.

დილით მოინძო ტიტო, თვალები დაუკოცნა და უთხრა:

— ჩემი ბესიკი შენ დაიხსენი? ეხლა შენც სამა-  
გიერო გადაუხადე! ეოჩად, ეოჩად! მაგიერ ჰატივის-  
ცემას ჩემგანაც მოელოდე!

არ გასულა დიდი ხანი, რომ ტიტოს ახალი ტა-  
ნისამოსი შეუკერეს და შემდეგ ამისა უფრო ჰატივის-  
ცემით მოეპურნენ.

ლადო აფაქჯაოჩი.



# ცელი



ჰო-ჰო-ჰო! ღმერთო ჩემო!..

რა ცელქია ეს კუდრაჭა;

აქ ტოლს ენა გამოუო,

იქ დედა-ბერს დაეპრანჭა.

—  
ხან ეზომი გავარდებო,  
სიძღვრით და ცქრიალითა;  
ხან ქუჩადან გატეპილი  
მოდის ტირილ-ღრიალითა!

—  
დილიდანვე მოუსვენრად  
ხტუნავს, დარბის ჩუქნი თინა;  
ბინდისას კი გულ-ნაჯური  
მობრძანდება ისევ შინა.

—  
რა ცელქია, — ღმერთო ჩემო!  
რა ცელქია ეს კუდრაჭა;  
აქ ერთს ენა გამოუო,  
იქ მეორეს დაეპრანჭა.

გ. ქუჩიშვილი.



# ბედის მწერლები.

(ზღაპარი)



ვო და არა იყო რა, იყო ერთი მეტად მდი-  
დარი, მაგრამ საშინელი სასტიკი და ძუნწი  
კაცი. ეს კაცი ისეთი ძუნწი იყო, რომ თა-  
ვის დღეში არ გაიკითხავდა, რაც უნდა გაჭირვებული  
ადამიანი მისუღიყო ძასთან.

ერთ ზამთრის ქარ-ბუქიან საღამოს ორი მგზავრი  
მიაღვა კარს.


„დალაღულები ვართ, გვცივა და გვძიან კიდევ...  
თუ ღმერთი გწამთ, ამაღამ გვისტუმრეთ!.. შემდეგში  
გადაგინდით ზატივისცემას! — შეხვეწენ მგზავრები.

გაბრახებულმა მდიდარმა, რომ ასე უდროყო დროს  
შეაწუხეს, კარების გაღებისათნავე სასტიკად შეუ-  
ღრიალა:

— დამეკარგენით აქედან, თქვე არამხადებო! თქვე-  
ნი დარდი არა მაქვს!.. ისედაც გაჯავრებული ვარ...  
ჩემ ცოლს ეს არის ახლა ქალი ეგოლა! — სთქვა ესა  
და კარები სწრაფად მიხურა.

გაიგონეს თუ არა ეს სიტყვები სიცივით მოხდუნ-  
ძულმა მგზავრებმა, არც აცივეს, არც აცხელეს და გა-  
ბრუნდნენ ისევ უკან ამ სიტყვებით:

„რასან ასეთი უღუთო უოფილხარ, შენი სიმდიდ-  
რე ტყეში, წყნელით მოწნულ ქოხში რომ სცნოვრობს  
შვიდი შვილის მამა, ძრეულ ღარიბი გლეხი, იმისმა  
მეშვიდე ვაჟმა იკემოს!“



ამ დროს კარზე მდგომმა მეზობელმა მოჰკრა უური მკხაურების ლაპარაკს და აძბავი მიუტანა მდიდარს.

აბა მდიდარმა რა იცოდა, თუ ის მკხაურები ბედის მწერლები იქნებოდნენ. გულში დარდათ ჩარჩა მეზობლის მოტანილი აძბავი და შოინდომა, რათაც უნდა დასჯდომოდა, იმ ღარიბ გლეხის ჰოვნა.

— როგორ? განა ჩემი საცხოვრებელი ღარიბმა გლეხის შვილმა უნდა შესჭამოს?— წამოიძახა გაბრალებულმა.

მდიდარი წავიდა გლეხის საპოვნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა, ძლივს— ძლივობით მიაგნო ერთ დაბურულ ტყეში წკნელებისგან მოხლართულ ქოხს, სადაც სცხოვრობდა ძალზედ გაჭირვებული გლეხი თავის შვიდი ვაჟიშვილით. მისვლისთანავე მან გამოხმო კარში გლეხი და უთხრა:— შენ, მგონი, როგორც გაძიგია, ძალიან გაჭირვებული კაცი ხარ. მე ძლიერ მებრალები და ამისათვის მოველ შენთან. თუ შენც შოინდომებ, მომეცი შენი მეშვიდე ვაჟიშვილი, მე შეილად ავიყვან, კარგათ გავზრდი, კარგს ვაჭმევ, კარგად ჩავაცმევ, როცა გაიზრდება ჩემს საცხოვრებელსაც მას და ვუძტკიცებ და შენც შემწეობას გავიწევ.

გლეხი სინარულით ცას ეწია, მდიდარს დიდი ძადლობა გადაუხადა და თავის უძცროსი ვაჟიც თან გააყოლა.

მდიდარმა წამოიყვანა ბავშვი. ერთ თოვლით დაფენილ ტრიბლ მინდორზე, ბავშვი გაატიტვლა, გადაისროლა და მიამახა:— წადი და ახლა შესჭამე ჩემი

სიბდიდრე, შე არამზადავ! ამაღამ შენვე შეგჭამენ მშიერი ძვლები და არსეინად განაგრძო შინისაკენ გზა.

მეორე დღეს სწორედ იმ მინდორზედ ეტლით გამოიარა ერთმა ღვთისნიერმა სოფდაგარმა. საძაგული დარი იდგა. ცა შავად მოქუშულიყო. ქარ-ბუქს თოვლის ნამქერი ზეცაში აჭქი ნდა. მაგრამ, დახე საკვირველებას, ამ საშინელ დარშიაც-კი სოფდაგარმა შენიშნა ერთ ადგილას სვეტად ჩამომდგარი მსე, რომლის სსივებსაც ზურგზედ მწოლარე დედიშობილა ბავშვი სიამოვნებით უღიმოდა. გარშემო კი მას ღობესავით თოვლი და ეინული ჭქონდა შემორტყეული.

სოფდაგარს დიდათ გაუხარდა ბავშვის ჰოვნა, რადგანაც უშვილო იყო; გამოჭსჯია თავის ქურქში და გაუდგა გზას შინისაკენ.

გავიდა რამდენიმე ხანი. ერთსელ, როგორღაც შემთხვევით გაიცნეს ერთმანეთი ძდიდარმა და სოფდაგარმა, გააცნეს თავიანთი ძვილებიც, რომლებსაც ერთმანეთი მოეწონათ და მშობლების ღოცვა-კურთხევით ჯვარიც დაიწერეს. ძვილის ჯვრის წერის შემდეგ, ძდიდარი კვლავ დარდა შეიპერო:

— როგორ მოხდა, რომ ჩემი სიძე ნაპოვნამეა, მისი მამა კი სულ სსვა გვარისაა, უსათუოდ უნდა გავიგო, რაშია საქმე, — გაიფიქრა მან.

მეორე დღესვე დაიბარა სოფდაგარი და ჭკითხა: — კაცო, როგორ მოხდა, რომ შენ სსვა გვარისა ხარ და შენი ძვილი კი სსვა გვარისა?..

აქ სოფდაგარმა დაწვრილებით უამბო ძდიდარს თავის

ვის შვილობილის ამბავი და თან დაუმტა: ამისთვის ვუწოდე გვარად ნაპოვნამეო.

ამ ლაპარაკის დროს მდიდარს დარდით ნაღველი უსივდებოდა.—ნუ თუ, ეს ის ბავშვია, რომელიც მე თოვლში გადავაგდე და იმ მკვარების ნათქვამი უნდა ასრულდეს?—ფიქრობდა ის. გაისტუმრა თუ არა შინ სოფდაგარი, ადგა თითონაც და თავის ძეგურსანეებთან წავიდა. რა ნახა ისინი, ასეთი დარჩევა მისცა:—ამაღამ, სწორეთ **12** საათზე ვინც ჩამოვიდეს თქვენთან, ის უთუოდ ქურდი იქნება, გინდა მკვ ვიუკე, შეაგდეთ გახურებულ ქურსანანაში და შიგ შესწვიოთ, გესმით თუ არა?—დაათავა ბრძანების კილოთი მდიდარმა.

„კარგი!—ძიუგეს ძეგურსანეებმა,—შევასრულებთ თქვენს ბრძანებას“.

მდიდარი დაბრუნდა თუ არა სახლში, ახლა თავის სიძეს მისცა განკარგულება:—თუ დმერთი გწამს, ამაღამ **12** საათზე ჩაიარე ჩვენ აგურსანანაში დასათვალიერებლათ. თურმე ჩვენი ძეგურსანეები ღამ-ღამობით იპარავენ აგურებს, კრამიტებს და თავიანთ სახლებში ეხიდებიან. თუ ვინმე მოასწრო ქურდს, თან წამოიფვანე, შინდა კარგათ დაგტუქსო.


სიძე დანიშნულ დროზე ცოტა ადრე წავიდა აგურსანანის დასათვალიერებლათ. შევიდა შიგ, მიათვალიერ-მოათვალიერა, გარედანაც დაათვალიერა, მაგრამ არაფერი უწესოება იქ არ უნახავს. ძეგურსანეებს კი ამ დროს ღრმა ძილით ეძინათ. ადგა და გულ-დამძვიდებით წამოვიდა შინისაკენ.



მდიდარმა ველარ მოისვენა. უნდოდა ძაღვ კაგო  
სიძის სიკვდილი და წაჰკიდა თითონაც აგურხანაში.  
დაინახეს თუ არა შეაგურხანებმა თავისკენ მოძაღვი  
კაცი, სტაცეს ხელი და ძალით შეაგდეს გალანჯანაშე-  
ბულ აგურხანაში.

მდიდარს, რაც სხვისთვის უნდოდა, თვითვე მიეგო.  
ასე, მდიდრის ქონება დარჩა ტყეში მცხოვრებ და-  
რბ გლეხის მემკვიდრე ვაჟს!

ნინო ენუქიძე.



# დედა.

(თავმანი).



აბე თოვდა. თოვლი ძაძინვე დნებო-  
და. ქუჩა წარჩედი იყო—ტალახია-  
ნი, უღამაზო. დაორთქლებულ მი-  
ნების გამო სანათურები ძლივს ბჟუ-  
ტავდენ — ერთ დიდ სახლთან ატუხუ-  
ლიყო დედაკაცი ბავშვით ხელში. ჩა-  
ცმულობით უტეობოდა, რომ სოფელელი  
დედაკაცი უნდა უოფილიყო;—ბავშვი იქ-  
ნებოდა ორი წლისა, ტიროდა და რაღა-

საც ითხოვდა.

- დაიძინე შვილო, დაიძინე, — ეუბნებოდა დედა.
- სახლში მინდა, ძცივა!..

დედაკაცმა გასწია ქუჩაში, გაუარა დახურულ დუქ-  
ნებს, უცნო დიდრონ სახლებს:

სად წავიდეს უბედური? დღეს გააგდეს იმ კუთხი-  
დან, სადაც ორი კვირა თავი ძეგარეზული ჭქონდა და  
ქირა კი არ მიეცა. სახლის პატრონმა — დურგალმა გა-  
აგდო, თვითონაც გაჭირებით ცხოვრობდა და აბა რას  
იქმნოდა

— გასწი, გასწი, მოძებნე სხვა ადგილი, ან წა-  
დი სოფელში.

მთელი დღე დახეტიალობდა საბრალო ქალაქში.  
მის შვილს სენკას ჩაემინა და დედა ერთ სახლის სველ  
კიბეზე ჩამოჯდა.



დქმითო, როგორ იტანჯებოდა!

თვეზე მეტია, რაც ეს დედაკაცი სოფლიდან წამოვიდა ადგილის საშოვნელათ. სოფელში მიმშვილით კვდებოდა, არა გააჩნდა-რა; ერთი ქონი ებადა და ისიც გაყიდა, რომ იმ ფულით წამოსულიყო. უშლიდენ, ქალაქში მხელათ იმოვი ადგილისო, რადგან ბავშვი ხელზე გუავსო.

— სულ ერთია, აქაც სომ მშოერი ვარ, — ამბობდა მატრიონა, — იმდენს ვივლი დილიდან საღამომდე, რომ სამუშაოს ვიძოვი: ეგებ ამიუვანონ საჭმლის გაძკეთებლათ, ან ემაწვილების მოძკლელათ ვეკლავურს გავაკეთებ, არას ვითაკილებ...

მაგრამ საბრალომ რამდენი სახლი შემოიარა, მშოერი და დაღალული დედაკაცი ვეკლავს ჰკითხავდა: ბატონებს, მეუზოვეებს, მეღუქნეებს და ვეკლავ უზასუსებდა: ბავშვით ვერ ავიუვანთ, უბავშოთ მოდი... და უბედური დედა-შვილი ამ სიცივეში ქუჩაში დარჩენ. დედაკაცს დილიდან არა ეჭამა-რა, ერთი ნაჭური გამსმარი ზური ედო ჯიბეში და ისიც სენკამ შეჭამა.. სენკა ძილში შეინძრა, მოუსვენრათ ეძინა. დედა ნელა არწევდა ბავშს, თოვლა-კი ზედ ფიფქებათ ეცემოდა.

ვიდაც მოდის? ზოლიციელია, თუ მეუზოვე? ზოლიციაში წაიუვანენ, როგორც მოხეტიალეს, ან აქედან გააკვებენ!

დედაკაცი სწრაფად გაიქცა მიბნელებულ ქუჩისკენ. ტალახინანი ფეხები თოვლში ეფულებოდა, ფეხთ-საცმელი წყლით ავესო, კანკალებდა და შეშინებულ ბავშს გულში იკრავდა. მთელი ღამე ასე დადიოდა, ან ჩა-

მოჯდებოდა სადმე. უოველი ფანა-ფუჩი მას აშინებდა დილით ერთ ღობესთან ჩაკინა.

საუდრის ზარების ხმამ გააღვიძა. ჯერ კიდევ ბნელადა. საუდარი ახლოს ეოფილიყო. მისი ფანჯრები ჩაბნელებული იყო. ხოლო ერთი ანთებული სანთელი ხან ერთ ფანჯრიდან გამოანათებდა და ხან ქეორედან. მატრიონა წამოდგა. ფესები დაბუქებოდა. სენკასაც გაეღვიძა და ატირდა.

— „მცია, დედა!

მატრიონამ გაახვია თავის ტუპუჭში და საუდრისაკენ გასწია. საუდარში ჯერ არაფერ არ იყო. იქ თბილად. მნათე ანთებდა სანთლებს და ხმა მალეა ლოცვებს აძობდა.

წირვა ჯერ არ დაეწყო. მატრიონა წავიდა ერთ ბნელ კუთხისაკენ და იქ ჩაჯდა.

კარი მძიმედ იღებოდა, თბილათ ჩაცმულები შემოდირდენ, ზარჯვარს იწერდენ. ერთი ვიღაც მოსუცმული მატრიონასთან მივიდა და მას კვერდით ამოუდგა. მონოხანს მიეგვიანებოდა. ახალ მოსულმა შეატყობტანისამოსსე, რომ მატრიონა სოფელია და ჰკითხა:

— სოფლიდანა ხარ?

— სოფლიდან, ადგილს ვეძებ!

— ბავშვი ვინა? შენი?

— ჩემი!

მატრიონა მოუევა რა გაჭირვება გამოიარა ამ ერთ თვეში ქალაქში და ატირდა

— რომ იცოდეთ, ეს ღამე მე ქუჩაში გავატარე, სულ გავიუინე, მეშინიან ბავშვი ავად არ გამიხდეს, რაღა მეშველება?

მოხუცი ჩაფიქრდა

— მიეცი ვისმეს ეგ ბავშვი!

— ვინ აიუვანს! თავშესაფარშია ც არ აიუვანენ, იტვიანი დედა ჭყავსო, იქ ხომ ძარცო ობლებს ღებულობენ.

— ძართაღს ამბობ, — ამოიოხრა მოხუცმა. აი, ჩვენმა ძვედღის ცოლმა სხვისი ბავშვი აიუვანა; არა უჭირს რა, ძედიარი ქალია, შვილები არა ჭყავს, ახალგაზრდაა. ერთხელ, ამ ხუთი წლის წინეთ, სახლიდან რომ გამოვიდა, ხედავს კარებთან გდია ჰატარა ბავშვი, იმის ახლოს ბარათიც ჩახა. „მონათლულია, სახელათ ანა ჭქვიანო.“ ახლა ლამაზი გოგონაა, კარგათ ჩაცმული და ჭყავთ, ძლიერ უყვართ, ეფერებიან, ანებიერებენ.

ამ დროს მოისმა შედავითნეს ხმა. წირვა დადგა. ხალხი შეინძრა. სენკამ გაიღვიძა.

— დედა, შშა

— მოიცა შვილო, ფეხზე დადგე, ილოცე.

სენკამ მიხედ-მოძხედა. ჩამოვიდა დედის კალთიდან, კვერდში ამოუდგა დედას და თან კაბაში ხელი ჩასჭიდა.

— ილოცე, ილოცე შვილო.

სენკამ თავისებურათ ჰირჯვარი გაღიწირა, მერე მობრუნდა და დაუწყო უცხო ხალხს თვალიერება. მოხუცმა ქალმა მატრიონას ჩაუღო მუჭაში ორიოდ თეთრი ფული.

— იეილე შენთვის და ბავშვისათვის ამითი რამე საჭმელი, ღამის ბინისათვისაც გამოგადგება. თავს გაუფრთხილდი, ღამე არ დარჩე ქუჩაში.

— მადლობელი ვარ, ღმერთმა სამაგიერო გადაგისადოს.

მოხუცი განშორდა. მატრიონას თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ჩანს ქვეყანაზე კადევ უოფილა კეთილი ხალხი, გაიფიქრა მან და გულზე ცოტათი მოეძვა,— იმედია სხვებიც დამეხმარებიან.

ამ დროს სენკამ მოითხოვა საჭმელი.

— წამო, შვილო, გიყიდი რასმეს...

საუდრიდან გამოვიდენ. კიბეებზე იდგენ მათხოვრები—ზოგი ბრმა, ზოგი კოჭლი.

მატრიონამ უვიდა სენკას ჰური, ბავშვა ხარბათ დაიწყო ჭამა. დუქანთან იდგა მეგასეთე. მატრიონა მიუახლოვდა, თავი დაუკრა:—მადლი იქონიე, წამიკითხე ხალი გასეთი, ეგება სადმე მოსამსახურე უნდოდეთ.

— კარგი, --უთხრა მეგასეთემ.

ამოიღო ერთი გასეთი, მოსძებნა განცხადებები.

— აქ არაფერია საძმენო.. თვითონ მხარეულები, მიძები, ხელზე მოსამსახურენი ეძებენ ადგილს.

მერე მეგასეთემ მეორე გასეთი წაიკითხა „საჭიროა მხარეული დედაკაცი. კარგათ უნდა იცოდეს საჭმელების გაკეთება.

— მერე იცით თქვენ კარგათ სადილის გაკეთება?

— არა. სულ უბრალო საჭმელები ვიცი.. წვენს გავაკეთებ, ფაფას!

— არა, აქ ფაფას არ თხოულობენ. ეს საძმენო არ არის, წაუკითხოთ სხვა:

— აი, შეხე... „საჭიროა მოსამსახურე პატარა ოჯახისათვის“.

მატრიონამ საჩქაროთ ჰკითხა:

— მითხარ სად? ახლავე წავალ.

— ჩქარა. აი ბინაც დაიხსომე...

— დავიხსომე, დავიხსომე ..

— გასწი საჩქაროთ, თორემ შენამდის ოცი სხვა წავა. ადგილს მშვიერი ბუხებივით ასობით ეწებებიან.

მატრიონამ დაავლო სენკას ხელი, სირბილით წავიდა. გზაში სულ იმეორებდა ბინის სახელს.

სენკა მოჰკევა ტირილს, თვითონ უნდოდა გაეღლა, იწეოდა ძირს...

დედა კი გულში იკრავდა ბავშვს და უურადლებას არ აქცევდა მის თხოვნას.

მატრიონა უწინაც ეოფილიყო ამ ქუჩაში, სოლო სხვა სახლში. ის მოკრძალებით შევიდა ეზოში. იქ მეესოვემ წინსაფართო და ნიძნიანი ქუდით მორთულმა მკაცრად ჰკითხა:

— ვინ კინდა? მოწებლებას თხოულობ?

— არა, ბატონო, მე ვეძებ ბინას № 20.

მეესოვემ აათვაღ. ჩაათვალიერა დედაკაცი და უთხრა:

— შეკითხე სართულში მოძებნე.

მატრიონა ადის კიბეზე. გული უფანცქალებს, აი ვიწრო კარიც, ხედ აწერია № 20.

— ღმერთო შეძეწიე! მატრიონამ ჰირჯვარი გაადისხა და აკანკალებული ხელით სარი ჩამოჰკრა. კარი გაუღო ცისფერ კაბაში გამოწეობილ ახალგაზრ-

და ქალბა. მატრიონა უხერხულათ შევიდა, ძლივს ფოფ-  
საზდა, ხელში სენკა ეჭირა

— რა გნებაუთ?

მატრიონამ ხატთან პირჯვარი გადაიწერა, მდაბლათ  
თავი დაუკრა და უთხრა:

— თქვენ მოსამსახურე გესაჭიროებათ. მე დაგი-  
დგებით, ვეკლავურს ვაგვიკეთებთ. შვილი არ დამიძ-  
ლის, ჩემი შვილი ჩემი ბავშვია...

ქალბატონმა სიტუვა შეაწვევტინა.

— ბავშვით გინდა დადგომის?

— დიას, ქალბატონო; ობოლია, ქმარი მომიკვდა.

— არა, მიუგო ქალბატონმა, ბავშვიანი დედაკა-  
ცი ჩვენ არ გამოგვადგება!

მატრიონა გაქვავდა, ადგილიდან ვერ იძროდა.

— მშვიდობით, — უთხრა ქალბატონმა და ოთახში  
შებრუნება დააპირა. მატრიონამ უცებ ქალბატონი  
გააჩერა, კაბაში ხელი სტაცა, მუხლებში ჩაუპარდა.

— ქალბატონო, შენი ჭირიმე, ამიუვანე, სად წა-  
ვიდე? მუდამ შენი ძლოცველი ვიქნები, უფულოდ  
დაგიდგები.

ქალბატონმა წამოაყენა და უთხრა:

— გუუბნები არ შეიძლება. მე მუუდროება, სიჩუ-  
მე მიუვარს. მასწავლებელი ვარ. ჩემთან მოწაფეები დაი-  
არებიან, ჩვენ ვსწავლობთ, შენი ბავშვი კი სამსარეუ-  
ლოში დაიუვირებს, იხმაურებს. არაფრის გზით არ  
შეიძლება. მშვიდობით. ბავშვი რომ არ გვაუდეს, და-  
გიჭყრდი.

მატრიონა გამოვიდა ქუჩაში. საით წავიდეს არ  
იცის! ტირის, ფეხები სტკივს, დაიღალა. აგერ ბაღი



მოხანს. იქ აუ-რებელი ქალბატონები და ბატონები სხედან. ბავშვები თოვლსედ ცაგაობენ, ერთმანერთს ეთამაშებიან. მატრიონას უნდა ბაღში დასასვენებლათ შესულა, თანაც ეძინიან, არ გამომაგდონო. მაინც შევიდა, დაჯდა. არც კი არავან უუერებს. სენკა მირს ჩამოწვა. ის მაძინეე წავიდა თოვლში სათამაშოთ, სადაც ბავშვები იუკენ. სეხვა კარგა შორს წავიდა დედისაგან.

მატრიონას უცებ გაუელვა თავში:

— ახლა რომ წავიდე და მივატოვო სენკა აქ! ვინმემ მდიდარმა რომ წაიყვანოს, ხომ კარგათ აჭმევს, კარგათ ჩააცმევს. განა უკეთესი არ იქნება!?

ფიქრობს მატრიონა და თან კანკალებს, ჰგონია რომ სუეველა მიუსვდა, რომ მას შვილის დატოვება უნდა. — მოდი მივალ, ერთს კიდევ ვადავკოცნი, თბილათ ჩავაცმევ... მაგრამ არა, დამინახავენ, შეამჩნევენ ჩემ საქციელს... სენკა შორს არის, ბავშვებთანაა გართული და არავინ იცის, ვინია ეგ ბავშვი.

მატრიონა თითქოს უნებურათ უცებ წამოხტა და ბაღიდან გავიდა. ქუჩაში გარბის, ეძინიან, უკან აღარ იხედება, კუთხეს ასცილდა, იქ ბაზარია, სალხი ირევა. არ იცის რამდენ ხანს გარბოდა...

დაღის მატრიონა ეზ.ა.ესო და ეკითხება მეესოვეებს: — ხომ არ საჭიროობენ თქვენ სახლში მოსამსახურეს?

სალამო დროს ერთმა მეესოვემ ვაგზავნა მდგმურებთან.

— ადი ძაღლა, მეოთხე ნომერში; ისინი დაემებენ საჭმლის გამკეთებელ დედაკაცს. ოღონდ ცოტას იძლევიან, ევანჭრე.

ამ ბინასზე ცხოვრობდენ ორი მოხუცებული ქალ-ბატონი; ესენი იყვენ ახირებული და ძუნწი ქალები. მატრიონას სულ მცირედი ფასი შეაძლიეს. მატრიონა მაშინათვე დასთანხმდა.

— იცოდე, ჰატონსნათ იმსახურე. ერთი ნამცეცავი რომ მოიპარო, — გაგაკდებთ. ნაცნობების მოუვანაც არ შეიძლება. სამხარეულოში სიჩუმე უნდა იყვეს, კესმის? თორემ გაგაკდებთ!

მატრიონა უკვლასფერზე დასთანხმდა.

— დადგი სამოვარი! უბრძანეს მას.

ის სდგამდა სამოვარს, სწმენდა დას — ჩანგალს, რეცხდა ჭურჭელს. სამხარეულოში მარტო ის იყო. ლამაზ ენთო სოლმე. მეორე ოთახიდან ისმოდა საათის მუშაობა. მატრიონა აკეთებდა უკვლასფერს, მაგრამ თითქოს ვერაფერს ვერ შედავდა, თითქოს სიზმარში იყო! სად არის სენკა! სად წაიუვანეს? ბაღში დიდხანს ითაძაძა, თუ არა? ვინ იცის როგორ დაეძებდა მას! როგორ დადიოდა თავისი მოგრეხილი უყვებოთ, აქეთ-იქეთ იხედებოდა!.. მერე უცებ შეეძინებოდა, ატირდებოდა. — დედა, დედა! — დაიუვირებდა, აუკანკალდებოდა ტუჩები, თვალებიდან ცრემლები გადმოედინებოდა. ხალხი შემოესკუვოდა, ის-კი არავის მიიკარებდა, ხელებს გაიქეკდა. თითქოს შედავს საბრალო დედა, რომ ვიღამაც ხელში აიუვანა, ის კი კვივის, ფეხებს აწარტყუნებს.

მატრიონას თითქოს ესმის შვილის ტირილი.

(დასასრული იქნება).



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .


(წამოდგენილი ან. კაპანაძისაგან)

გავალ, გავალ ნარივითა,  
 ხმას გავიღებ ზარივითა;  
 გლეხის ბიჭმა შემინახოს  
 მარგალიტის თვალვივითა.

ერთი რამ უცხო ფრინველი  
 ბოლო მოწყობით დაჯდაო,  
 ადგა და ისევ წავიდა,  
 უსულო ცხენზე შეჯდაო.

ვერც გამოსჭრის კარგი მჭრელი,  
 ვერც შეჭკერავს ხარაზიო;  
 ლხინის სუფრას მიერთმევა  
 ხელთ დაიჭერს ლამაზიო!

რ ე ბ უ ს ი .





# ზამბახის გლოვა.

(ზამბახის გლოვა და სურნელის)

## I.



ამბახი ვნახე რუს პირას  
გადაფურჩქნილი ტურფათა,  
დამატკობელსა სურნელსა  
მიმოაკმევდა უხვათა.

მზე დასცქეროდა მალლიდან  
პირითა მოცინარითა,

ასპეტაკ-ანარნარებდა  
სხივითა მოელვარითა.

მუქ ფოთოლს დასციმციმებდა  
ცის ნამი აღმასიანი,  
ყელს ევლებოდა სინაზით  
სიო ფრთა ლამაზიანი!

თმა ხუჭუჭიან ბუჩქების  
ჩეროში ჩასაფრებულნი,  
ახალ-ახალსა ჰიმნს სთხზავდა  
ფრთოსანთ მგოსანი ბუღბუღნი.

დაჰყევდა: ვიშ, ვიშ ბუნებავ,  
ტკბილ სურნელ მომფუშინვარეო,  
სხივთა შადრევნის მფრქვეველო,  
რიყრაყო მოელვარეო!

თქვენ გეტრფით, გეაღერსებით,  
მზე, ვარსკვლავთ ხომლო, მთვარეო;  
ჰიმნს ვითხზავ წმინდა ვნებისას  
სულის ჩამდგმელო მზარეო!

II.

ენახე იგივე ზამბახი

ტურფა, ტან ჯვარიანი,  
ლამის სიცივეს დაექნო  
ტკბილ ამო, სურნელიანი.

ალარ დაჰკროთდენ თავზედა  
ცის მოციმციმე ვარსკვლავნი,  
არ ეფრქვეოდენ უხვად  
ცვარნი ვერცხლივით მბრწყინაენი.

მწუხარებისგან წალკოტსა  
კრემლეზი ღვარად სდიოდა;  
ბუ ნეტარებით დამთვრალი  
გულის მქენჯნ ჰანგზე ჰკიოდა.  
მხოლოდ მარტოკა ნაკადი  
კვნესდა, მოსთქვამდა მწველად  
და მისი ტირილ-ქვეითინი  
ქარს გადაჰქონდა ველადა.

აცნობდა: ლაღად ნაზარდი  
ტურფა და მონარნარგო,  
ალარ ჰყვავილობს ზამბახი  
ტკბილ სურნელ მომღმევიწარეო.

დაეკარგეთ... უღრით დაეკარგეთ  
უბადლო შვილი მთებისო,  
მშენენიერების მმოსავი,  
მოსიყვარულე შვებისო

დ. თურდოსპირელი.



# ჯ ე კ ი.

ციცხლის მკრობელი რაზმის ქალი.

მ თ ხ რ ა ბ ა



ალე ბავშვს მოვლა და ზრუნვა დაეტყო. ლოცვებზე ფერი მოუვიდა, დღე დღეზე ღონე ემატებოდა. გამოცოცხლდა, გამხიარულდა და ჯეკს გარეთ, სახლის წინ, ეთამაშებოდა.

— აი ეხლა, სწორედ ბავშვს დაემსვავსა, — სთქვა ერთ საღამოს რიორდანემ, როდესაც ჯეკი და ბავშვი დამალობიას თამაშობდნენ და ბავშვის მხიარული სიცილი გაისმოდა ოთახში, როცა ჯეკი მოაგნებდა ხოლმე იმის ბინას.

გასაკვირველი იყო, რომ ეს ბრმა ბავშვი უთვალოთ როგორ მუშაობდა, ცდილობდა ყველასთვის ესიამოვნებინა.

ვილიამი ერთობ გრძელი სახელი ეწვენათ ცეცხლის მკრობელებს და ბილლის უძახოდენ.

რამდენიმე დღემ გაიარა, მაგრამ ცეცხლის მკრობელები ბავშვის თავშესაფარში გაგზავნას არ ფიქრობდნენ. თუმცა ცეცხლის მკრობელების სადგომი ბილლისთვის შესაფერი არ იყო, მაგრამ ბილლი ისე ბედნიერათ გრძნობდა თავს, რომ ამაზე უკეთესი ადგილი ვერც კი წარმოედგინა. ის ისე შეეჩვივა, რომ როდესაც ცეცხლის გაჩენას ზარებით ანიშნებდნენ, ისიც ისე აღელდებოდა, როგორც ჯეკი. ის ყურს უგდებდა, როგორ ცხენებს აბამდნენ, ჯეკი როგორ ჰყეფდა და როდესაც ყველაფერი მიწყნარდებოდა, ის მოუთმენლათ თავის საყვარელ მფარველების დაბრუნებას ელოდებოდა.

როდესაც მკრობელები უკან დაბრუნდებოდნენ, ყმაწვილს ბედნიერება და სიხარული ეხატებოდა ხოლმე სახეზე.

— ოთახში რათა ხარ შავთ ამ ბავშვს? — შენიშნა ერთხელ კაპიტანმა, — თბილათ ჩააცვით და გარეთ გაიყვანეთ მზეზე; არაფერი არ დაემართება.

ბილლის თბილათ ჩააცვეს ხელთათმანები და ქუდი დახურეს და გარეთ მზეზე გამოიყვანეს.

— აბა ჯეკ, ყური უგდე, — უთხრა რიორდანემ. ჯეკმა კუ-  
დი გაიქნია და ბავშვს უკან გამოუღდა.

ბილლი და ჯეკი სახლის წინ დასვირნობდნენ. ჯეკი და-  
რაჯივით უკან დასდევდა. ცივმა და სუფთა ჰაერმა ბილლის  
ლოყები აუწითლა და თავს ბედნიერთათა გრძნობდა.

როდესაც დასვირნობდნენ, ვილაც ორი ადამიანი მოუ-  
ახლოვდა მათ. ჯეკს ძალიან გაეხარდა და კულის ქნევა დაიწყო.

ახალი მოსულები ერთი შუახნის კაცი იყო და მეორე  
პატარა, ბილლიზე უმცროსი, ბავშვი წითელ ლოყებიანი და მხია-  
რული. ხელში კალოათა ეჭირა.

ხნიერი კაცი ამ ბავშვის პაპა იყო. ბატონი ლედველი — ეს  
სწორეთ გასაკვირველი პაპა იყო, იმისთანა სასიამოვნო ღიმი-  
ლი და კეთილი შეხედულება ჰქონდა, ისეთი მიმზიდველი ხმა,  
რომ როდესაც დაგელაპარაკებოდით, მთელი დღე მხიარულად  
და ბედნიერად გრძნობდით თავს.

ბილლი იმის სახეს ვერა ხედავდა, მარტო ხმა ესმოდა,  
მაგრამ ბრძემბს გრძნობდა ისე აქვთ განვითარებული, რომ ბილ-  
ლიმ თავის გონებაში წარმოიდგინა მისი სასიამოვნო სახე და,  
როდესაც დაელაპარაკა, მოჰყვა ღიმილს.

— ჯეკ, ჯეკ, მე შენ რაღაც კარგი რამ მოგიტანე, —  
სთქვა ახალ მოსულმა ბავშვმა, რომელსაც სამა ერქვა, და  
გაშტერებული შესცქეროდა ბილლის.

— ეს ვისი ბავშვია? — იკითხა სამას პაპამ. — ეს მგონი აქამ-  
დის აქ არ იყო!

— ჩვენ ეს ბავშვი ვიპოვნეთ, როდესაც ქალაქის განაპი-  
რა მხარეს ცეცხლი გაჩნდა, — უპასუხა რიორდანემ, რომელიც,  
ლედველები რომ მოვიდნენ, გარეთ იყო. რიორდანემ რა ნა-  
ხა რომ ლედველს უნდა ბავშვის ამბის შეტყობა, მიუახლოვ-  
და და დაწვრილებით უამბო.

რიორდანემ თავისი ამბავი ჯეკის ქებით დაასრულა, რო-  
მელსაც არა ერთხელ ადამიანები დაუხსნია ცეცხლისაგან:

— ყოჩაღ, ჯეკ, — სთქვა ლედველმა და ძალღს თავზე ხე-  
ლი გადაუსვა.

ჯეკმა თავი ჩაღუნა და კუდი აათამაშა. ის უთუოდ ფიქ-  
რობდა, რომ თავის მოვალეობა შეასრულა და ამისთვის ქება

არა ღირს. სამა ამ დროს კალათასა ხსნიდა და საქმელს აღაგებდა; ჯეკი ცალი თვალით შესცქეროდა ამ გემრიელ საქმელს, სუნავდა და კუდს სიამოვნებით იქნევდა.

ბოლოს ბავშვმა გადაუგდო. ერთი ნაქერი, ძაღლმა ზეზელა დაიჭირა და გადაუღაპა, მერე მეორე, მესამე.. სამა სიამოვნებით შესცქეროდა ძაღლს.

— ყური დამიგდე, რიორდან, დანარჩენი სადილისათვის შეუნახე, — სთქვა სამამ, — მე ძვლები, ხორცი, ხაჭაპურები მოუტანე, ჯეკს ყველა ეს საქმელები ძალიან უყვარს. სამამ ქალაქში შეხვეული საქმელი რიორდანეს გადასცა.

ნამცეცები, რომელიც კალათაში იყო დარჩენილი, რიორდანემ და სამამ იქ სახურავზე მყოფ ბელურებს გადაუყარეს.

— სულ ბელურებს ნუ აქმევ, მტრედებსაც შეუნახე, — უთხრა ბავშვმა. — თქვენი კოჭლი მტრედი კიდევ ცოცხალია?

— მე რომ უკანასკნელათ ვნახე, — სთქვა რიორდანემ, — ყოჩაღათ იყო!

— ის მოჩხუბარა მტრედი კიდევ სცემს?

— ჭამის დროს სჩაგრავს. — რას იზამ, პირუტყვებშიც ხომ ისეთი წესია, — ღონიერი სუსტსა სჩაგრავს.

— მე შენ გთხოვ, რიორდან, აიღე ჯოხი და ის საძაგელი მოჩხუბარა ჭამის დროს გააღდე.

— ნუ სწუხართ, ჩვენ იმ კოჭლს ვუვლით. ის ძალიან გასუქდა, ისეთი ფრთხალი აღარ არის, საქმელს ხელიდან გვართმევს.

— როგორ? ნეტაი ეხლა მოფრინდეს, — სთქვა სამამ.

— შეიძლება, რომ მოფრინდეს; უყურეთ, ბელურები კიდევ ჩამოფრინდნენ, საცაა მტრედებიც გამოჩნდებიან.

ამ დროს პაპა კაპიტანს პატარა ბრმის შესახებ ელაპარაკებოდა. სამა რომ ბრმას უყურებდა თან და თან სიბრალოელი ეტყობოდა.

— გამარჯობა, ბილლი!

— გამარჯობა! უპასუხა ბილლიმ ნაზის ხმით. ასე გაიკნეს ბავშვებმა ერთმანეთი.

— აი მტრედებიც მოფრინდნენ, — სთქვა რიორდანემ. ამ დროს მთელი გუნდი მტრედებისა ჩამოფრინდნენ, ბელურები



გაიფანტნენ, მაგრამ ჩუმ ჩუმით ეპარებოდნენ და მტრედებს ცხვირ წინ დიდრონ ლუკმებს აცლიდნენ, სახურავზე აფრინდებოდნენ და იქ შეექცეოდნენ.

ამ მტრედებში ერთი თეთრი მუქ წინწკლებიანი მტრედი იყო, ცალი ფეხი შეკეცილი ჰქონდა და ცალით დახტოდა. მეორები იმის ახლოს დაცოცავდნენ და პირიდან ლუკმას ართმევდნენ. მეტადრე ერთი იმათგანი მოლურჯო, რომელსაც „მოჩხუბარას“ ეძახდნენ, მედიდურათ გამოიყურებოდა, თითქოს მარტო იმას ეკუთვნის ნამცეცები, სამა ძალიანა ჯავრობდა იმათზე და კოჭლის გარდა ყველას რეკდა. კოჭლი თითქოს გრძნობდა, რომ იმის გულისთვის ყველას აგდებენ და სიამოვნებით კენკავდა. მეორებს მაინც და მაინც სამასი არ ეშინოდათ; ისე შეჩვეულები იყვნენ, რომ გაფრინდებოდნენ ხოლმე და ისევ მალე დაბრუნდებოდნენ. როცა კოჭლი კარგა გამოძღა, სამა სხვებს ჭამას აღარ უშლიდა. ბავშმა კოჭლ მტრედს ხელი გაუშვირა და ის ხელის გულზე შეაჯდა. ბილლიმ ხელი გადაუსვა, ჯეკი იმათ გვერდით იჯდა და კუდს იქნევდა.

ბოლოს ბატონი ლედველიც ბავშვებს მიუახლოვდა და კაპიტანს ეუბნებოდა:

— რასაკვირველია, ჯერ აქ არა უშავს რა ბავშვს, მაგრამ სამუდამოთ დატოვება არ შეიძლება. უნდა სხვა ბინა მოუძებნოთ.

ბილლიმ რომ ეს სიტყვები გაიგონა, ძალიან შესწუხდა: ის აქაურობას ისე შეეჩვია, ფიქრობდა, რომ თუ აქედამ წაიყვანეს ისევ უმეგობროთ, უბატრონოთ და უბინაოთ დარჩება.

### III.

— პაპა, — უთხრა გზაზე სამამ პაპას, — ძალიან მეცოდება ბილლი.

— ჰო, საცოდავია, — უპასუხა პაპამ.

რამდენიმე წამს ჩუმით ჩაფიქრებული მიდიოდნენ. ბოლოს სამამ სთქვა:

— პაპა, მე ხომ ღმერთმა გამაჩინა? შენც ხომ იმან გააჩინა?

— რასაკვირველია, — უპასუხა პაპამ.

— შენ ნამდვილათ იცი? — დაიწყო ბავშმა და დაკვირვებით უყურებდა პაპას, რომელიც ილიმებოდა.



— რასაკვირველია, ნამდვილათ ვიცი!

— კარგი. მე ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, და აი ეხლა ვიამბობ, რაც მწადია. მე ყოველ ღამე ვილოცებ და ღმერთს შევევედრები, რომ იმან ბილლის თვალები აუხილოს!

— ძალიან კარგი აზრი მოგსვლია, — უპასუხა პაპამ.

— შენ იცი, რომ ღმერთს ყოველთვის იმასა ვთხოვ, საშობაოთ რა საჩუქარიც უფრო მომწონს, — სთქვა სამამ.

— მერე შენი სურვილი სრულდება ხოლმე? — ჰკითხა პაპამ.

— რასაკვირველია, ყოველთვის მისრულდება. ამ უკანასკნელათ საშობაოთ მე ღმერთს შევეხვეწე, რომ ცხენი მიძელო საჩუქრად და კიდევ ამისრულდა. შენ თითონ იცი, რომ მე ეხლა ჩინებული ცხენი მყავს.

— ჰო, ჰო ვიცი! — სთქვა პაპამ და გაიღიმა.

— მე ვთხოვე იმას შავი ცხენი შუბლზე თეთრი ვარსკვლავით და კიდევ შემისრულა თხოვნა. ეხლა ყოველ საღამოს რომ ღმერთს შევევედრო, რომ ბილლის თვალის სინათლე მისცეს, მგონი ამისრულებს და ბილლის თვალები აეხილება.

— შესაძლებელია, — მიუგო პაპამ, — ნამდვილია, რომ შავი ცხენი შუბლზე თეთრი ვარსკვლავიანი აგრე ადვილი საშოვნელი არ იყო!

— მეც მაგრე ვფიქრობ. პაპა, შობამდინ დიდი ხანია დარჩენილი?

— არა, ჩემო საყვარელო, მარტო ორი კვირაა!

— კარგი. მაშ დღეიდან ღმერთსა ვსთხოვ, რომ ჩემი ცხენის პატარა ეტლისთვის ნუ შესწუხდება, — სთქვა სამამ და თავი გაიქნია; — სჯობია, რომ ბილლის თვალები აუხილოს.

სახლში მივიდნენ. სამამ ზემოთ ბებიასთან აირბინა და ბილლის ამბავი უამბო.

სამას მშობლები სამეზავროთ ევროპაში წავიდნენ და თან ამის პატარა და ენნი წაიყვანეს და ეს კი ბებიასთან და პაპასთან დასტოვეს. ბებია და პაპა სამას ისე უყვარდა და ისინიც ისე ანებიერებდნენ, რომ უდედ-მამოთ სრულებით არ ნაღვლობდა და არა სწუხდა.

— რასაკვირველია, ძალიან მიამება ჩემ პატარა დასთან თამაშობა და დედ-მამის ნახვა, მაგრამ პაპა და ბებია მათზე უფრო მანგიბრებენ.

— ოჰ, მაგრე არ შეიძლება ლაპარაკი! — უთხრა გამდელმა.

— ყური დამიგდე, განა ვიამება, რომ თმა ავიბურძღვონ? გამდელმა ვერაფერი ვერ უპასუხა. მაშინ ყმაწვილმა გადაწყვეტით სთქვა.

— მაშ, როგორ გგონია?

ბებია ოთახში იჯდა და სამამ ისე აჩქარებული უამბო ბილლის ამბავი, რომ თითქმის ვერაფერი ვერ გააგებინა. აქ ცეცხლიც იყო, ჯეკიც, ბრმა ბავშვიც, სულ ყველა ეს ისე აერია, რომ ძლივს გამოარკვია რაშიც იყო საქმე.

სამას ბებიაც, როგორც პაპა, ძალიან უყვარდა. — ნარტო ის არის, — ამბობდა სამა, — რომ ბებია ჩემსავით ვაჟი არ იყო, და პაპა კი...“

— კარგათ გაიგე, ბებია-ჩემო, რომ მე ეტლს აღარა ვსთხოვ ღმერთს, ოღონდ კი ბილლის თვალები აუხილოს!

როდესაც სამა დასაძინებლათ წავიდა, ლოგინზე დაიჩოქა და მხურვალეთ ღმერთს ევედრებოდა:

— საყვარელო უფალო, ჩემი ეტლისთვის ნუღარ შესწუხდები, — ერთი თხოვნა შემისრულე, რომ ბილლის თვალები აეხილოს. დაიფარე ჩემი ღედ-მამა, რომ ხომალდზე არაფერი არ მოხდეს. ბებია და პაპა მიცოცხლე და მეც კარგი ბიჭი გამზარდე.

— შენი დისათვის რატომ არ ილოცე, — უთხრა ბებიამ, როდესაც სამამ ლოცვა გაათავა.

— ო, ენის ეხლა თავის გამდელთან მოსვენებული სძინავს, — გამოაცხადა სამამ.

მეორე ღდეს სამა შეეხვეწა პაპას, ქალაქ გარეთ ბაღში წასულიყვნენ და ჩიტებისთვის და კურდღლებისთვის საქმელი წაეღოთ.

— ძალიან კარგი, წავიდეთ, რას ფიქრობ, ბილლიც რომ წავიყვანოთ!

— ის ხომ ვერაფერსა ხედავს, რაში ესიამოვნება.

— შენ ხომ ხედავ, — უპასუხა პაპამ. — პატარა ხან შენი თვალები ათხოვე.

სამამ გაკვირვებული შეხედა პაპას, არაფერი ესმოდა.

— შენ შეგიძლია უამბო, რასაც ნახამ, და ის ყველაფერს

წარმოიდგენს, რაც ხდება, — აუხსნა პაპამ, — ის თავის ქველთა დაინახავს და არა თვალებით.

— ეგ როგორღაც არ მესმის, — სთქვა გაკვირვებულმა სამამ.

— ბრძეები ბევრსა ფიქრობენ იმაზე, რასაც ვერა ხედავენ და გონებას ავარჯიშებენ; ეს თვისება რომ არა ჰქონდეთ, მაშინ ძალიან ძნელი იქნება მათი სიცოცხლე.

სამა სამხარეულოში შევიდა, ფრინველებისთვის ჰური გამოიტანა, კალათაში კაკალი და ფეტვის მარცვლები ჩაჰყარა ჰიეჰავისთვის და საყუებისთვის.

როცა ყველაფერი მზათ ჰქონდა, მარხილიც მოადგა კარებთან, ჩახხდნენ და გასწიეს. როდესაც ბილლის გამოუცხადეს, რომ მარხილით სასეირნოთ წავა, აღტაცებისაგან გაწითლდა. თბილით ჩააცვეს; სამამ ხელი მოჰკიდა და მარხილთან მიიყვანა, სულ ეშინოდა, რომ ფეხი არ აუცდეს. ჯეკიც თან მისდევდა.

— შეიძლება ჯეკიც წამოვიყვანოთ? — ჰკითხა სამამ.

— რასაკვირველია შეიძლება, თუ კი წამოვა, — უპასუხა პაპამ.

მაგრამ ჯეკი იმისთანა ძალი იყო, რომ თავის მოვალეობას არ ვადუღებოდა. სამა და ბილლი ებატიეებოდნენ ჯეკს, მაგრამ ის კუდს იქნევდა და ადგილიდან არ ინძრეოდა. როდესაც მარხილი დაიძრა, ჯეკი თითქოს ერთ ადგილს გაშეშდა და ნაღვლიანი შესტკეროდა, სანამ მარხილი არ მიიმალა:

ცოტა ხანს კიდევ იდგა ასე. ბოლოს გამობრუნდა და სახლის შესავალთან წამოწვა. აქ გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა, შესაძლო იყო აქ ორიოდე სიტყვა ეთქვა თავის ძველ მეგობრებისთვის, ან ახალ ნაცნობებს გაიჩინდა და დროც ასე გაივლიდა.

მარხილი კი მიჰქროლოვდა და ორს აღტაცებულ ბავშვს მიაბრუნებდა: სამა გაჩქარებული ლაპარაკობდა და ცდილობდა ბილლისათვის ყველა შესანიშნავი ადგილები, საითყენაც კი მიდიოდა, აეხსნა.

აი მარხილმა გაიარა იმ ადგილისაკენ, სადაც ბავშვები თოვლისაგან ბერიკას აკეთებდნენ. ყველანი მხიარულათ ყვირიან, იცინიან, თოვლის გუნდებს ისვრიან. სამამ აუხსნა ბილლის ამ ხმაურობის მიზეზი.

— განა ყველანი ხედავენ? — როგორღაც ჩაფიქრებული იკითხა ბილლიმ, ამ სიტყვებზე სამას სიბრალულით გული აუძგერდა, ცოტა შეჩერდა და ბოლოს უპასუხა:

— არა, მგონი ავერ ერთი ბრმა ბავშვიც არის, მაგრამ ისიც მხიარულობს. პაპამ სამას შეხედა და აღერსით სავსე თვალებიდან ცრემლი გადმოგორდა და მის გრძელ წვერებში დაიშალა, რომ არ შეერცხვინა და უფრო არ შეეწუხებინა სამა, რომელმაც დანაშაულივით შეხედა პაპას. პაპამ უამბო, რომ ბრმა ბავშვებს არა თუ თაშაშობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, ისინი სკოლაში დაიარებიან და იმათაც ისე ასწავლიან, როგორც თვალ-ხილულებს.

— განა იმათაც კითხვა და ყველაფერი იციან? — იკითხა ბილლიმ.

— ჰო, ჩემო კარგო! — უპასუხა პაპამ, — შენც სკოლაში მიგაბარებთ.

მაგრამ ბილი უცბათ გაჩუმდა და რალაზედაც ჩაფიქრდა:

— რა იყო ბილი, განა სკოლაში სიარული არ გინდა? ჰკითხა პაპამ, — იქ ძალიან კარგია!

— მე მინდა, რომ დედა ჩემი ვიპოვნო, — უპასუხა ბილი და ტუჩები აუკანკალდა.

— გეყოფა, ნუ აღელოვდები, დედასაც ვიპოვნით, — დარწმუნებულათ სთქვა პაპამ და რალაც საინტერესო ამბავის თხრობა დაიწყო; ისე რომ ბილის დარდები გადაეყარა და სახე ისევ გაუბრწყინდა. გზაზე სახლებს აღარ ხედავდნენ და თოვლით დაფენილი მინდორი გამოჩნდა. სამა სულ ყველაფერს უამბობდა, სად გაყინული აუზი იყო, სად ბავშვები ცივებით დასრიალობენ, სადაც მთები იყო.

ბოლოს ტყესაც მიუახლოვდნენ, საცა ბალიც გამოჩნდებოდა. დათოვლილ ხეებიდამ აქა-იქ თრითინები გამოიყურებოდნენ და თავიანთ ბანჯღღლიანი კუდით ხან ერთ ტოტზე და ხან მეორეზე ხტოდნენ.

როდესაც ბალში შევიდნენ, მთელი გროვა ბელურებისა წამოფრინდნენ, თითქოს იმათი დაუძინებელი მტრები გამოჩნდნო, მაგრამ ამასთანავე ბელურები გულმოდგინეთ მარხილს თვალს აყოლებდნენ, რადგან ნაცნობი კალათა დაინა-



ხეს და დარწმუნებული იყვნენ, რომ გემრიელი საუზმე მოელოდათ. ბელურები თანაც ძალიან ფრთხილათ იყვნენ. არც გასაკვირველია, ავი ბავშვი უნგრევს ხოლმე მათ ბუდეს და ქვებს ესვრის.

უცბათ დამშვიდებული ცივი ჰაერი ახმაურდა უთავბოლო ყვირილით.

— უყურე, ბილლი, ჯაფარები ფრინავენ, — დაიყვირა სამამ. — გესმის, ჯაფარები! ოჰ! შენ არ იცი რა შშვენიერი ცისფერი ბუმბული ურევიათ ფრთებში.

— განა ისინიც ეგრე დიდრონი არიან, როგორც მტრედები? — ჰკითხა ბილლიმ. მტრედებს ყმაწვილი კარგათ იცნობდა, რადგან ხელში სჭერია.

— არა, მტრედის ოდენა არ არის, უფრო პატარაა. საშინელი მოუსვენრები, არიან, სულ ჩხუბობენ. აბა ყური დაუგდე, როგორ ჩხუბობენ!

— ისინიც მოფრინდებიან და ნამცეცებს აკენკავენ? — კითხა ბილლიმ.

— რასაკვირველია, — უპასუხა სამამ, — ისინი ყველაზე უფრო დიდრონ ნაჭრებს დაიტაცებენ.

— აქ გავჩერდეთ, — თქვა პაპამ, როდესაც მინდორზე გაემოვიდნენ.

მარხილი შეაყენეს. პაპა და სამა ჩამოვიდნენ და ბილლიც გადმოსვეს.

ის სამაზე უფრო განბრებული იყო. მართალია, ვერა ხედავდა ბელურებს, როგორ ჩამომსხდარიყვნენ ხეებზე და საკენკს ელოდნენ, ვერც იმას, რომ გაყინულ ხის ტოტებზე ჩამოკიდული ჯაფარები მზის სხივებზე ათასფრათ ბრჭყვიალებდნენ, ვერც თრითინებს, რომელნიც ჩიტებზე უფრო თამამად უახლოვდებოდნენ. სამა ყველაფერს უამბობდა და ბილლის ყველა ეს სურათი ცოცხლათა ჰქონდა წარმოდგენილი.

ბილლი ბელურებს საკენკს უყრიდა და თრითინებისთვის ხელში კაკალი ეჭირა, ისინიც სულ ახლოს მოდიოდნენ და ხელიდან კაკალს სტაცებდნენ, ყმაწვილი აღტაცებით იცინოდა — იმათ ბეწვს რომ ხელით ეხებოდა.



უცბათ ჰაერში მხიარული ჭიკჭიკი გაისმა „ცი-კა-დი“ და მთელი გროვა წყალ-წყალა ჩიტი ჩამოფრინდა.



„ცი-კა-დი! ყვიროდენ წყალ-წყალა ჩიტები და ნამცეცების აკენკას ცდილობდნენ. თითქოს იძახოდნენ:

— განა დავიგვიანეთ? ჩვენ აღარაფერი დაგვრჩა?

ისეთი პატარები და მოკრძალებულნი იყვნენ, რომ როდესაც შეუზოვარი ბელურები იმათი სისუსტით სარგებლობდნენ და ნისკარტიდან ნამცეცს ჰგლეჯდნენ, — ისინი არც კი ჯავრობდნენ.

— ოჰ, ჩემო მშვენიერო პა-

წაწკინებო! ნახად ეუბნებოდა სამა, — აი, თქვე ხარბო, გაუმადლო ჯაფარებო, აცალეთ ამათაც სჭამონ.

სწორეთ ამ დროს ცისფერმა ჯაფარამ წყალ-წყალას პირიდან ნამცეცი გამოჰვლიჯა, მაგრამ ის თავის მხიარულს „ცი-კას“ მჭეროდა, თითქოს იძახდა: არა უშავს-რა! კიდევ ვიშოვნით, ამისთანა უბრალო საქმეზე აღელვება არა ღირს, ყველას გვეყოფა. უცბათ ყვა-ყვა მოისმა და ყვავი გამოჩნდა, შორი-ახლოს ჩამოჯდა, იმათ არ უნდოდათ ამ გროვა ჩიტებში გარევა, რადგან ისინი თავიანთ საქმეს ჩუმჩუმით და საიდუმლოთ ახერხებდნენ. ერთი ყვავი მიუახლოვდა ერთ დაშორებულ ჩიტს, ისე გულ-გრილათ, თითქოს არცკი უნდოდა შეეტყო, თუ რა ხდება გარშემო, უცბათ მოსტაცა ყველაზე დიდი ნა-


ქერი და ღვინის ამხანაგებთან გაფრინდა, ზურგი მიუბრუნა მათ და შექაპა ნადავლი, ეშინოდა ვინმემ არ წამართვასო.

აქ კიდევ ერთი პატარა ჩიტო იყო, რომელიც მოშორებით დაჯდა და სხვა ჩიტებში არ ერეოდა. სამამ ვერ შეამჩნია, ისე ჩუმ ჩუმად მიიპარებოდა იმ ხისაკენ, სადაც სხვა ჩიტები ქეიფობდნენ, იქიდან თავი ვადმოეკიდა და ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს.

ეს ჩიტო ჩხართვი იყო. როგორც კი მარხილი დაიძრა, ის ნელ-ნელა ხიდახ ჩამოცურდა და მოიტაცა კაკლის გული, რომელიც თრითინამ ის იყო გასტეხა.

ეკ. მესხია.

(შემდეგი იქნება).







# ცრემლის ტბა.

ლევან დ.

ამოთხის შესავალთან წყნარი და დაღვრემილი ტბა იყო.

ეს ტბა ცრემლების ტბა იყო.

ამ ტბაში ანგელოზები აგროვებდნენ ყველა იმ ცრემლებს, რომლებსაც ისინი დედამიწაზე პოულობდნენ.

როგორც ადამიანს შეაშრება ხოლმე ცრემლები, რომ ხელახლათ გადმოხეთქოს, ისეც ტბაც ამოშრებოდა, რომ ხელახლათ მიეღო მთელი ნაკადული დაფრქვეული ცრემლისა.

ანგელოზები ვერ ასწრობდნენ ცრემლების მოგროვებას, რადგან დედა მიწაზე ისე ბევრს ტირიან. ამ ცრემლებით მორწყულ ტბის ნაპირზე ყვავიან ლაშაზი ყვავილები: ვარდები, იახამბახები... ესენი ისეთი კეკლუცები და მშვენიერნი არიან, როგორც უმანკო ბავშვები. თუმცა ეს ტანჯვის და მწუხარების ნაყოფი ყვავილები უფრო სურნელოვანი არიან, ვიდრე ნათელ-მყოფელი მზეზე აყვავებულნი, მაინც მათ არც ერთი პეპელა, არც ერთი ჩიტი არ ეკარება.

ესენი ვეღარც იფრენენ, ვეღარც იგალობენ, თუ ამ ყვავილს იგემებენ.

ერთხელ ანგელოზები დაბრუნდნენ ტბაზე, ყველა მათგანს ხელში ცრემლებით სავსე ჭურჭელი ეჭირათ, — ტბა პირამდის სავსე აღმოჩნდა; არ იცოდნენ ანგელოზებმა, როგორ დაეცალათ თავიანთი ჭურჭლები, ეწინააღმდეგებოდათ ტბის პირი არ გადმოხეთქილიყო. ჭურჭლები იმიტომ აღმოჩნდნენ სავსენი, რომ უნუგემო დედებმა ბევრი ცრემლები დაღვარეს გაუგონარ ბავშვების გამო. დედის ცრემლები არასოდეს არა შრებიან.

ჩუმად, უცემანით იდგნენ ტბის გარშემო ანგელოზები და ერთმანეთს შეჰყურებდნენ; რა ექნათ, სად წაეღოთ ამოდენა ცრემლი?

ამასობაში ერთი პატარა ანგელოზი ძალიან დაიღალა; ტვირთის ხელში ჰქერა ემძიმებოდა. ჭურჭელი ნელა ხელიდან გაუცურდა და ცრემლი ტბაში ჩაიქცა.

— რა სასწაული მოხდა? იმის მაგივრად, რომ ტბა გადმოხეთქილიყო, წყალმა ძირს დაიწია რაღაცა განგების ძალით.

გაკვირვებამ და განცვიფრებამ შეიპყრო ანგელოზები. მათ მოინდომეს გაეგოთ, თუ რა ცრემლები იყო პატარა ანგელოზის ჭურჭელში და რა სასწაულებითი ძალა ჰქონდა?

პატარა ანგელოზმა გაშალა ფრთები და, თუ ანგელოზებს ტირილი შეუძლიანთ, სწორეთ ამ პატარა ანგელოზის წამწამზე აბრკყვიანდა ეს ცრემლი.

იმან დაილაპარაკა:

„ბნელს ღამეში მე შეველ განმარტოებულ, ნახევრად დანგრეულ ქოხში. იქ, ცარიელ ჩაღაზე, საწყალი დედაკაცი იწვა. იმას ეძინა. ტანჯულ, ანაოქებულ სახეზედ ცრემლები ჩამოსდიოდა, გაძვალ-ტყავებულ ხელში წერილი ეჭირა. ეს წერილი აუწყებდა, რომ იმისი, ერთათ ერთი ვაჟიშვილი, რომელსაც დედა გახრწნილად და დაღუპულად სთვლიდა, ბრუნდება დედასთან, — ეს იყო ცრემლი სიხარულისა, რომ შვილი უბრუნდება.“

ანგელოზები კვლავ დაეშვნენ მიწაზედ.

მაგრამ, განა კიდევ იპოვიან იმისთანა ცრემლებს, რომლებსაც შეუძლიანთ გააშრონ ათი ათასი სხვა ცრემლი?


(თარგმანი)

• თარხნიშვილისა.

# ტარას შევჩენკო.



(1814—1861)



თებერვალს 19 შესრულდა 50 წ. ბატონ-ყმობის გაუქმებისა. 26 თებერვალს კი 50 წელი, რაც გარდაიცვალა ტარას შევჩენკო, — პოეტი, უხვად დაჯილდოვებული ბუნებით, სიკვდილამდე იმ დღეს მონატრე, როდესაც აღარ იქნებოდა ყმა, როდესაც ყოველი ადამიანი თავისუფალი იქნებოდა, როდესაც უპირველეს მცნებათ ადამიანთა შორის შეიქნებოდა სიყვარული და კაცთმოყვარეობა. ამითი ის ეკუთვნის არა მარტო თავის პატარა სამშობლოს. მალოროსიას, ალამედ მთელ კაცობრიობას. მსოფლიო მგოსანი — ის იმავე დროს არის მგოსანი ხალხისა, მგოსანი თავის მალოროსიის ანუ უკრაინის ტანჯვა-ვაებისა. მისი ცხოვრებაც მშვენიერი სურათია მისი ხალხის ისტორიისა. მალოროსია ეკუთვნის რუსეთს და მის საზღვრებში არის მოქცეული. მალოროსები, პატარა ერი, იყვნენ უწინდელ დროში გულადი დამცველნი ქრისტიანობისა თათრების შემოსევს დროს. როგორც ლომები ებრძოდნენ ისინი მტერს და იცავდნენ თავის თავისუფალ პაწია სამშობლოს. არა მარტო თათრები იყვნენ მათი მტრები, პოლონელი მებატონეებიც კარგ დღეს არ აყენებდნენ. ხალხი იცავდა თავის თავისუფლებას და სისხლით ივსებოდა ლამაზი მალოროსია, — ოდესმე თავისუფალი, ღონიერი, ამაყი თავის „ზაპოროჟსკაია სეჩით“, რომელიც წარმოადგენდა მალოროსების ციხეს, სადაც სუფევდა თანასწორობა, სადაც არ იყო არც ბატონი, არც ყმა, სადაც ყოველ ადამიანს შეეძლო ეშოვნა ბინა. მას არავინ არ ჰკითხავდა საიდან მოსულა ან ვინაა, აი ეს მალოროსია დააუქმლურა მუდმივმა ომებმა და შემოღებულმა ბატონ-ყმობამ სულ გამოჰლია უკანასკნელი ძალები ხალხს. მშვენიერი სოფლები განადგურდნენ, გაღარიბდნენ. იმ მიწებზედ, რომელნიც უწინ ეკუთვნოდნენ თავისუფალ მალოროსებს, დასახლდნენ ბატონები, ხალხი კი იტანჯებოდა მათ უღელ ქვეშ.



შევჩინეკოც ყმა იყო, ამიტომაც ესმოდა მას ყმის ჭანჯვა, თავისი საბრალო მოძმეების გაჭირვებული ცხოვრება, ამიტომაც ასე ძალიან სძაგდა ბატონ-ყმობა. ობოლი, დაჩაგრული ბავშვობიდანვე ის იზრდებოდა ალერსს მოკლებული. მამამ მიაბარა ტარასი დიაკვანს წერა-კითხვის შესასწავლათ, როდესაც ნახა, რომ ბავშვი ვერასფერვს გულს ვერ უდებს და არ ვარგა საოჯახო საქმისათვის. ტარასმა შეისწავლა წერა-კითხვა. ამავე დროს მან დაიწყო ხატყვა. მისი სამშობლოს ბუნება ლამაზი და მომხიბლავია. შევჩინეკო ხატავდა რასაც ხედავდა, მასწავლებელი მას აბა ვინ ჰყავდა! შემდეგში მამამ ტარასი ძღვებარს მიაბარა, მაგრამ რას შეასწავლიდა ტარასის მღებარი. შევჩინეკომ მიატოვა მღებარი და თავის ბატონის ძროხებს და ცხვრებს მწყემსვა დაუწყო. მწყემსადაც დიდხანს ვერ გასტანა. როდესაც ის ბალახზედ წამოწოლილი ოცნებობდა, ან კითხულობდა საღმე გაჭირვებით ნაშოვნს წიგნს, ძროხები და ცხვრები სხვის ყანაში შედიოდნენ და ნათესს აფუჭებდნენ. ამისათვის კი ტარასს კარგი რამ არ მოელოდა. შევჩინეკომ სთხოვა მოურავს ნება მიეცა მისთვის მეზობელ მხატვართან სიარულისა ხატვის შესასწავლათ. მოურავმა ამის მაგივრად ხელზედ მოსამსახურეთ დააყენა ბატონის მხლებლებში. ამისთანა ცხოვრება ტარასისათვის მეტად მძიმე იყო, მისი ერთად ერთი ნუგეში ის იყო, რომ ათვალიერებდა სურათებს ბატონის დარბაზში და მალვით ხატავდა ნანახ სურათებს ერთხელ როდესაც ბატონი შინ არ იყო, ტარასი შევიდა მის დიდებულად მორთულ დარბაზში და დაიწყო ერთი სურათის გადახატვა. ეს სურათი მას ძალიან მოსწონდა. ამ მუშაობამ იმოდენად გაიტაცა, რომ ყმაწვილმა ვერც კი შეაძინა, როგორ გაიღო კარი და მისი ბატონი შემოვიდა, ბატონმა აუწია ყური. მეორე დღეს ტარასი სასტიკად გაროხვეს. ბატონი დარწმუნდა, რომ ბიჭი სხვაფორივ არ ივარგებდა, სჯობს ისევ ხატვა შეისწავლოს.

უწინდელ ბატონებს ყმებთა შორის ჰყავდათ საკუთარი მხატვრები, თვატრში მოთამაშენი, ექიმები, მემუსიკენი. ბატონი სარგებლობდა მათი ხელობით. შევჩინეკოს ბატონმაც მოინდომა გამოეყენებინა ტარასის ნიჭი. ტარასი ხატვის შესასწავლათ გაგზავნეს ვარშავაში და მერმე პეტერბურგში. აქ ტარასის

ნიჰმა მიიპყრო ზოგიერთ პირთა ყურადღება. ის შეიყვანეს სამხატვროში. მის ბატონს სთხოვეს გაენთავისუფლებინა შევჩენკო. მაგრამ ბატონმა უფულოდ არა ჰქნა. ტარასის ახალი მეგობრებმა შეჰკრიფეს ფული და გამოისყიდეს იგი. „თავისუფალი ვარ, თავისუფალი!“ ტირილით იძახოდა შევჩენკო, როდესაც მას მოუტანეს ბატონისაგან ხელ მოწერილი ბარათი, რომ ის განთავისუფლებულია. ეხლა სრულებით შეიცვალა შევჩენკოს ცხოვრება. მან დაიწყო სწავლა, ის ხარბად კითხულობდა წიგნებს, შეისწავლა რუსეთის მწერლების საუკეთესო ნაწარმოები, შეისწავლა თავისი სამშობლოს ისტორია. იმისი მწერლობა. კარგად არ იციან, როდის დაიწყო შევჩენკომ ლექსების წერა, პირველ ხანებში მალავდა ის თავის ნაწერებს. დიდი ხვეწნის შემდეგ 1840 წელს, შევჩენკომ გამოსცა თავისი „კობზარი“ \*). ამ წიგნში დახასიათებულია მთელი უკრაინა და მასთან მგონის ცხოვრებაც. შევჩენკო სწერდა თავის ხალხზე, მის დაბეჩავებაზე—და ტანჯვა—ვარამზე.

1845 წელს, ოცდა თერთმეტი წლის შევჩენკომ დაამთავრა სწავლა აკადემიაში. ამავე წელს მან დასტოვა პეტერბურგი და წავიდა თავის სამშობლოში—მალოროსიაში. შევჩენკომ თავისიანებში იმოდენა ტანჯვა ნახა, რომ ნანახმა ღრმად ჩააფიქრა. ეხლა მას უფრო შეუყვარდა თავისი ხალხი და მასთან ერთად ყოველი ადამიანი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. შევჩენკო ყველას აკვირვებდა თავისი კაცთმოყვარეობით და სიკეთით. თვითონ ლარიბი—ის არასოდეს არავის მოწყალეებაზე უარს არ ეტყოდა, განსაკუთრებით მას უყვარდა ბავშვები.

მაგრამ საოცარია ბედი ამ მგონისა.

1847 წელს ის დაატუსადეს. ეხლა მას მოელოდა უარესი რამ, ვიდრე ბატონ-ყმობა. მაშინდელ დროში სალდათად გაგზავნა იყო სასჯელი. შევჩენკო სალდათად წაიყვანეს. ათი წელიწადი გაატარა მან აუტანელ პირობებში. მას აუკრძალეს წერა-კითხვა, ხატვა. ის ხშირად სიკვდილს ნატრობდა; მას ასრულებინებდნენ ძნელ მიწის სამუშაოს. თოფით ხელში მთელი საათობით ის უაზროდ დდიოდა, სულ ხშირად ჩხრეკავდნენ, რომ დარწმუნებულიყვენ

\*) ეს სიტყვა უდრის ჩვენ „მეჩონგურეს“.



სწერს თუ არა კიდევ ლექსებს, ან თუ ხატავს; წელიწად ნახევარი წერილების წერის ნებაც არ ჰქონდა. ბოლოს როგორც იქნა ამის ნება მისცეს, მხოლოდ რუსულ ენაზე, მალოროსიულ ენაზე წერის ნება არა ჰქონდა, თავის ლექსებს კი განსაკუთრებით დედა-ენაზე სწერდა.

ბოლოს 1857 წელს მას მიეცა ნება დაბრუნებულიყო პეტერბურგში.

27 მარტს 1858 წელს ის მივიდა პეტერბურგში, სადაც მოელოდნენ მეგობრები, თაყვანისმცემელნი. აქ მან გაატარა უკანასკნელი სამი წელიწადი თავისი მრავალ ტანჯულ ცხოვრებისა.

იმ წლებში პეტერბურგი აღელვებული იყო, მზადდებოდა გლახთა განთავისუფლება, ავადმყოფი შევჩენკო თვალ-ყურს აღევნებდა ყოველისფერს და სწერდა დაულაღავათ, თითქოს გრძნობდა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა.

19 თებერვალს 1861 წელს, როდესაც ყოველი კაცი მოელოდა მანიფესტის გამოცხადებას, ის აღელვებული ეკითხებოდა თავის მეგობრებს „გამოაცხადეს თავისუფლება? არა? და როცა პასუხს ვერ იღებდა, სევდით მოცული კვნესოდა: „მაშ კიდევ არა? როდისღა, როდის?“

აქ ბედმა უმუხთლა: ის გარდაიცვალა 26 თებერვალს 1861 წელს, თავისუფლება კი გამოაცხადეს 5 მარტს არ დასცალდა საბრალო მკოსანს თავისი ოცნება განხორციელებული ენახა.


ასეთი იყო ტარას შევჩენკოს ცხოვრება. ბევრი ტანჯვა გამოიარა, ბედნიერება თითქმის არ უნახავს. მთელი თავისი სიყვარული შესწირა თავისს სამშობლოს; მისი ერთად-ერთი სურვილი იყო ენახა ხალხი თავისუფალი. ენლა, როდესაც რუსეთა და მასთან მალოროსია დღესასწაულობენ გლახთა განთავისუფლებას შევჩენკოს სახელიც უნდა მოიგონოს ყოველმა ადამიანმა.

შევჩენკო აღვიძებდა ადამიანში სიყვარულს, უჩვენებდა მას მოძმეთა ტანჯვას, უჩვენებდა სიმართლის გზას, ასწავლიდა თავისიანებს როგორ უნდა უყვარდეთ თავისი ერი, თავისი პატარა სამშობლო. მისმა „კობზარმაც“ შეასრულა თავისი დანიშნულება,—ეს არის წიგნი სიყვარულისა და უზომო ტანჯვისა.



## მგოსნის საფლაფი.

(ტარას შევჩენკას ხსოვნას)



ნახე საფლაფი: ზედ ია  
და ვარდი ამოსულიყო;  
იქ ახლოს ნარი ჭკნებოდა,  
ეკალი დაჩაგრულიყო!

— დილის შვის სხივი ბრჭყვიალა  
ვარდს უქარგავდა ფოთოლსა;  
ბუღბუღი ნაზად დამღერდა  
საფლაფს ეულს და ობოლსა:


— „მგოსანო! შენი მოძღვრება  
და სიტყვა შენგან თქმულიო,—  
ღრმად ჩასწვდა ჭკუა-გონებას  
და აგვიძგერა გულიო!

ვარდი და ია ყვაველობს,  
 ნარი, ეკალი ჭკნებაო;  
 სიბნელე სრულად გამჭრაღა,  
 სინათლე გვევლინებაო!

ერს დაუბა ტკივილი  
 შენმა სიმღერამ ტკილმაო: —  
 გამოცოცხლებას, შრომასა  
 თავი დაუკრა ძილმაო!

მარადისობა შენს სახელს,  
 უკვდავ ძეგლს გიდგამს ერიო;  
 გულში ჩაიჭდევს შენს ხსოვნას,  
 შენითვე ბედნიერიო!

ლადო გეგეჭკორი.





# შესანიშნავი ქვეყანა.



(მოგზაურობა ჩრდილოეთ  
ამერიკაში)

დიდ მემამულეთა ფერმეები.

## IX

მდინარე მისისიპის დელტების დასავლეთ-ჩრდილოეთი ითვლება ნამდვილ მსაზრდოებლათ ჩრდილოეთ ამერიკისა. ამ ადგილებში მთელ დედამიწაზე საუკეთესო პურის მოსვლა იცის.

ხორბალი ძველათგანვე ითვლება მეტათ სასარგებლო მარცვლათ. ეგვიპტეში ფარაონის დროიდან მოჰყავთ პური. მათ ძველ ნანგრევების ნაშთებზე დარჩენილია ნახატები, რომელზედაც გამოყვანილია მაშინდელი დროის პურის თესვა და მოყვანა. ახლა პური თითქმის ყოველ დედამიწის კუნძულში მოდის, დიდ ძალს აგროვებენ ინდოეთში, საფრანგეთში, რუსეთში, ავსტრალიაში და დასავლეთ ამერიკის მდინარე ლაპლატის დელტებში.

თუმცა ამერიკაში, სანამ კოლუმბი აღმოაჩენდა ამ ქვეყანას, ხორბლის ხსენება არ იყო, მაგრამ ახლა ამერიკას მოჰყავს პური უფრო მეტი, ვიდრე სხვა ქვეყნებს. თვით ამერიკაში, ყველაზე მეტად შეერთებულ შტატებში მოდის პური. აქედან ათი ათასი კოდობით ხორბალი გააქვთ ატლანტიურ ოკეანეზე, გარდა ბამბისა ყველაზე მეტი შემოსავალს შტატების მცხოვრებლებს ხორბალი აძლევს.


ხორბალი მოდის მთელ შეერთებულ შტატების გასწვრივ, მაგრამ საუკეთესო ადგილები მდინარე ოგაიოს და მისსურის დელტებია.

აქაურ შტატებში ერთი შესანიშნავი დელტა, რომელსაც ეძახიან წითელ მდინარეს. აქ ძრიელ დიდ და შესანიშნავ მე-



ურნეობას ეწევიან. ყოველ დიდ ფერმაზე რამოდენიმე უფროსები არიან და ასობით მუშები მუშაობენ. ამ ფერმებს აქვთ დიდ ძალი სამეურნო მანქანები და იარაღები—ყველაფერს ერთად, ბლომად ყიდულობენ. ჩრდილოეთ დაკოტის შკატის ერთ ფერმაზე ამუშავებენ 250 ცხენს და ჯორს, 200 გუთანს, 115 სამკალ მანქანას. მკის დროს ამ ფერმაზე მუშაობს 400 მუშაზე მეტი, ლეწვის დროს ხომ უფრო მეტიც — 600 კაცი ადგია ხოლმე.

აბა დავათვალიეროთ ერთი დიდი ფერმა. მას უჭირავს რამდენიმე ათასი დესეტინა მის გასაშინჯავათ უნდა ცხენებით წავიდეთ. ზოგჯერ თითო დათესილი ნაჭერი ორას დესეტინას შეადგენს. მუშებს აქვთ თავიანთი „მუშათა საზოგადოება“. ამ-



ცხენის გუთანი.


ქრობა და მათი უფროსი გადადის ერთიდან მეორე მუშათა ჯგუფში. როდესაც ხვანს შეუდგებიან ამ ადგილებში, წინ და უკან დაჰყავთ ოცამდის დიდი, ორ თვლიანი გუთნები, კოფაზე ზის ხოლმე მუშა, რომელიც ხელმძღვა-

ნელობას უწევს გუთანს.

ასე ხნავენ მიწას და ბოლოს ცალკე ამისთვის გამართულ გასაცხავებლით თესავენ ხორბალს. ეს მანქანა გრძელი ყუთია, თვლებზე დადგმული. ყუთს ავსებენ ხორბლით. ყუთის ძირიდან გაყვანილია მილები სხვილი ჯოხის სისქისა. მარცვლები ჩაღიან ამ მილის საშვალეებით და იბნევიან მიწაში. ყოველ მილს გვერდით აქვს პატარა გუთანი, რომელიც თესლოს მიწას აყრის. ყოველ გასაცხავებელ მანქანაში აბია სამი, ან ოთხი ცხენი. რამდენიმე გასაცხავებელი მანქანა სულ ცოტა ხანში დიდ ადგილზე თესავს.

სწორეთ სანახავია ვინც დაესწრება მკას! გასაოცარ სურათს წარმოადგენს მაშინ ფერმა! პურს მკიან სამკალი მანქანებით. ყოველ მანქანაში რამდენიმე ცხენი ან ჯორი აბია. ერთ და იგივე დროს ყანაში რამდენიმე სამკალი მანქანა მუ-

შაობს. ისეთი ხმაურობაა, როგორც დიდ ქარხნებში. მუშების ხმა, რომელნიც ცხენებს ერეკებიან, ძლივ ძლიობით მოისმის.



გასაცხევებელი მანქანა.

ახლოს რომ მივალთ, შევატყობთ, რომ ეს ხმაურობა მანქანის დანკბიდან ისმის; დანები დიდის სიჩქარით წინ და უკან, მიწიდან რამდენიმე დიუმის სიმაღლეზე, მოძრაობენ, პურის ღეროებს სჭრიან და მანქანაში ისვრიან. ამ მან-


ქანასთან მიბმულია სხვა პატარა მანქანა, რომელიც პურის ღეროებს ეზიდება დიდ მანქანისკენ და რიგ რიგათ ულაგებს. სამკალი მანქანა ასე მოწყობილია, რომ ღეროები ერთმანეთზე კონათ ეწყობა და, როდესაც კონა საკმაოდ დიდი შეიქნება, თოკით, ან მართულით, თვითონ მანქანის საშუალებით იკვრის და მანქანიდან ძნებს გადმოისვრის ხოლმე. მანქანას მისდევენ მუშები, იღებენ ამ ძნებს და სდგამენ გასაშრობათ.

ამერიკის ფერმებზე ლეწვა სულ სხვა ნაირია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ბევრგან ევროპაში პურს საქვევლით სჭრიან. ჩინეთში პურს კალოზე გაშლიან და პირდაპირ ხარებს ერეკებიან, რომ მათი ჩლიქებით გაილეწოს. ჩვენში, საქართველოში, კალოზე კევრით ილეწება. წითელ მდინარის დეღეებში ლეწვენ ორთქლის ძალით, ორთქლს სალეწავი ჩარხი მოჰყავს მოძრაობაში. ამისთანა სალეწავი მანქანა თითო დღეში ლეწავს პურს ხუთას კოდზე მეტს. ისე რომ ეს ორთქლის მანქანა უდრის ას ხარს, ანუ რამდენიმე ათას საქვევლს. სამკალი მანქანა არა თუ მარცვალს ბზე-ჩალას აცლის, თვით მარცვალსაც ასუფთავებს ჩენჩოებისაგან. სუფთა ხორბალი ანაზდუულათ გადადის ხის მილების საშვალეებით მანქანის ერთ გვერდზე და ეს ისე სწრაფათ ხდება, რომ ორი მუშა ვერ ასწრობს ტომრების მიწოდებას მარცვლის მოსაგროვებლათ.

ზოგიერთ ძალიან დიდ ფერმაზე მკა და ლეწვა ერთ და იგივე დროს ხდება. ამის მანქანა სხვა ნაირია და სამკალსა-სალეწი იარაღი ერთად არის შეერთებული. ზოგიერთი ამ გვარ დიდრონ მანქანებს ხმარობენ ორთქლის ძალით, ზოგს

კი ცხენების და ჯორების საშვალებით. ამათ აბამენ ხოლმე ზოგჯერ ოცდახუთ და ოცდაათ წყვილს. ამ გვარ მანქანის საშვალებით ოთხ მუშას შეუძლიან დღეში ვალეწოს პური ოთხმოცდა ხუთ კოდიდან ათას ხუთას კოდამდის.

ახლა ვნახოთ როგორ ინახება ლეწვის შემდეგ ხორბალი! ესეც ძალიან საყურადღებოა ჩვენთვის. იმ ადგილებში, სადაც პური ბლომით მოდის რკინის გზების სადგურებზე და დიდ ქალაქების ნავთსადგურებში გამართულია უხარმაზარი ბედლები, რომლებსაც ჰქვიათ ელევატორები. მასში ინახავენ



საღეწავი და სამკალი მანქანა.

ხორბალს, სანამ არ გაიყიდება. ამისთანა უშველებელი ბედლები არის გაკეთებული ნიუ-ორკში, ახალ—ორლენში და სხვა დიდ ქალაქებში. ჩვენ გვითხრეს, რომ ზოგიერთი ელევატორები ისეთი დიდია, რომ შიგ მილიონზე მეტი კოდი ხორბალი მოთავსდებოა. ხოლო ერთი ქალაქი მინნეაპოლისის ელევატორი იტევს თუთხმეტ მილიონამდის კოდს. წლის განმავლობაში ამ ქალაქიდან დიდ ძალი ხორბალი გააქვთ.

ელევატორებს ჩვეულებრივ მართავენ რკინის გზის მახლობლათ, რომ ხორბალი პირდაპირ ვაგონებიდან შიგ ჩაჰყარონ. დიდი ბედლებია ჩადგმული შიგ ელევატორში, ზოგი ისეთი დიდია, რომ უდრის ექვს სართულიან სახლს. ამისთანა ბედელში რამდენიმე ათასი კოდი ხორბლის მარცვალი ჩადის. ელევატორის თავზე ადის კალისაგან გაკეთებული ნიჩბები,

რომელიც მოდის მოძრაობაში გრძელი ჯაჭვის შემწეობით, ხორბალი აქ იწონება და ისე ჩადის ბელელში. როდესაც ხორბლის ამოღება მოუნდებათ—პირდაპირ მიღებით ვაგონებში ან გემებზე ჩაუშვებენ ხოლმე.

ამისთანა ელევატორები დიდ ძალია იმ ქალაქებში, საცა ნავთ-სადგურებია. ხორბალი ელევატორში ჩადის პირდაპირ ვაგონებიდან და გასაყიდათ—გემებით გააქვთ. როგორც კი ხორბალი მიაღწევს ქალაქ ნიუ-ორკს, მაშინ ევროპაში გაგზავნა ადვილია. უმეტესი ხორბალი ასე იგზავნება, ხოლო მცირეოდენი გადააქვთ მდინარე მისისისიპის საშუალებით.

ქალაქი მინნეაპოლისი ძვეს მისისისიპის მდინარეზე, წმიდა ანტონის ჩანჩქრის სიახლოვეს. ძალიან ლამაზი ქალაქია. ამათი მცხოვრებლები მეოთხედ მილიონს შეადგენენ. ჩანჩქარი აძლევს დიდ ძალას, რომელიც უდრის ორმოც ათას ცხენის ძალას. ამის წყალობით მინნეაპოლისი განთქმულია თავისი წისქვილებით, რომელნიც დღე და ღამ შეუწყვეტლათ მუშაობენ და ყოველ წლივ დიდ ძალი მილიონი კოდი ხორბალი იფქვის.

ძალოვანი მდინარე მისისისიპი არა თუ წისქვილებს აძლევს დიდ ძალ წყლის ძალას,—ქარხნებს და სახერხავებსაც ინახავს. მისი წყალობით ქალაქი მინნეაპოლისი გახდა მთელ შეერთებულ შტატებში გამოჩენილ ქალაქათ.

მინნეაპოლისის ახლოს არის ერთი სხვა დიდი ქალაქი—წმიდა პავლე,—რომელიც ითვლება მრეწველთათვის საჩენ ბინათ. ამ ორ ქალაქს უწოდებენ: ჩრდილო—დასავლეთ ტყუპებათ. ეს იარა, ქალაქი ახლა თითქმის შეერთებულია, თუმცა 15 ვერსის სიშორეზე არიან. ელექტრონის რკინის გზის წყალობით რამდენიმე წუთში შეიძლება ერთი ქალაქიდან მეორეში გაჩნდეს კაცი. მომავალში უსათუოდ ერთ უზარმაზარ ქალაქად იქცევა.

(დასასრული შემდეგ)



# თუთიყუშები.



ცხელი ქვეყნების ტყეებში (აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ავსტრალიაში) მრავალი სხვა და სხვა ფრინველი იცის, განსაკუთრებით კი მდიდარნი არიან იქაური ტყეები თუთიყუშებით. მაგრამ მარტო სიმრავლით კი არ არის შესანიშნავი ეს ფრინველი, — არა. სხვა მიზეზიცაა, რომ ადამიანს ყურადღება მიუქცევია მისთვის. იგი ალამაზებს იქაურ ტყეებს, მშვენება მათი. აბა, გაჩვენათ ის ქვეყნები და მათი ტყეები! იტყოდით, ეგ რა ამბავია, სადა ვარ! ერთი ხმაურობა, ყვარილი, კივილი,

ჩხავილი, სტვენა, ყბედობა და მერმე იცით, ვინ არის სულ ამის ჩამდენი? თუთიყუშები არიან! მორთულნი სხვა და სხვა ფერ ბურტყულ-ნაკრტენებითა, იგინი ათასფერად აჭრელებენ ტროპიკულ ტყეებს, აცხოველებენ მათ, სულს უდგმენ. რა და რა ფერისა ვინდა, რომ არ იყოს თუთიყუში! თეთრი, შავი, მწვანე, ვარდის ფერი, წითელი, ყვითელი და ნაცრის ფერი. ამასთან თავსა, ფეხებსა და კუდს უშვენებენ სხვა ფერად-ფერადი ბურტყული-ნაკრტენები. სასაცილო სანახავია შავი თუთიყუში, რომელიც იცის ავსტრალიის ჩრდილო კიდურზე და მახლობელ კუნძულებზე. დიდი ქოჩორი, გრძელი და მოკაუქმებული ნისკარტი რომ გაჩვენათ მაშინ, როდესაც იგი უძრავათა ზის ხის ტოტზე, შეგახედათ მისი წითელი ლოყებისა და აქოჩრილი თავისთვის, ნამდვილ მოხუცებული ქვიქვირ ჩამოშვებული ღენერალი გეგონებათ. ამ თუთიყუშს ეძახიან „შავ კაკადუს“.

თუთიყუში ძალიან მხიარული და ცქვიტი ფრინველია. სიარული კარგი იცის და ფრენა კიდევ უკეთესი. უმეტეს ნაწილად თუთიყუშები ხეებზე სხედან მოკაუქმებულ ნისკარტისა და მარჯვე, ღონიერ ფეხების წყალობით. საუცხოოდ გადადიან და გადმოდინან ერთი შტოდან მეორეზე. წასწვდება

ხოლომე მახლობელ შტოს, დაეკიდება ზედ ნისკარტით, მერმე ფეხებს მიიშველებს და ამ სახით გადადის მეორე შტოზე. ნისკარტი იმდენად ღონიერი აქვს, რომ ძალიან მაგარი ნაჭუ-



შავი კაკაღუ.

ჭიც რომ ჰქონდეს რომელსამე ნაყოფს (მაგალითად თხილს, კაკალს), სულ ადვილად გასტეხს, თვალის დახამხამებაში ამოაცლის გულს თავის მარჯვე ენით და შესჭამს. ვაშლის თესლი ხომ წვრილი რამეა, იმასაც ისე მარჯვედ და ისე მალე ამოაცლის გულს, რომ გაგიკვირდებათ. ფეხებს ისე ხმარობს, როდესაცა სჭამს რასმე, როგორც ადამიანი ხელს. აიღებს ხოლმე საჭმელს ნისკარტით, ამ დროს ფეხიც მიეშველეთ-

ბა ნისკარტს, ჩამოართმევს აღებულს საჭმელს და დაიჭერს მას ნისკარტთან ახლოს ამ სახით შეექცევა ჭამას მაიმუნმაც ასე იცის ხელ-ფეხის ხმარება, თუ გინახავსთ მაიმუნი. თუთიყუშები და მაიმუნები ბევრს რასმეში ჰგვანან ერთმანერთს. ამას დაინახავთ, როდესაც მაიმუნების ცხოვრებას ავიწერთ.

სცხოვრობენ თუთიყუშები მრავალნი ერთად, გუნდ-გუნდად. ერთმანეთში დიდი მეგობრობა აქვსთ. გაჭირვების დროს ერთი მეორისათვის სიცოცხლეს არ სზოგავს. თითოეული გუნდი აირჩევს ხოლმე ტყეში სადმე ერთს ადგილს და ისა აქვს მიჩემებული სამუდამო ადგილ სამყოფელად. დაიწყება თუ არა სალამოს ბინდი, ამ გუნდის თუთიყუშები ყველანი აქ იწყებენ მოგროვებას ღამის გასათევად. მათი სადგომია ჩვეულებრივ მაღალი სქელფოთლოვანი კენწეროები ხეებისა,

ან ხის ფულუროები. აქვსთ ამ დროს ერთი ყრიაძეული, ერთი ხმაურობა, ჩხავილი; ხანდახან პატარა ჩხუბიც შემოერევათ, რადგან ცილობა შეექნებათ ხოლმე იმაზე, თუ რომელი სად დაჯდეს. ბოლოს ზოგნი ფულუროებში შეძვრებიან, ზოგნი შტოებზე დასხდებიან აქა-იქ, დანარჩენები კი, რომელთაც ვერ მოასწრეს ფულუროებში ადგილის დაჭერა, ფულუროსთან ახლოს თავის მოკალუქებული ნისკარტებითა და კლანჭებით დაეკიდებიან ხის ქერქზე და არიან ამ მდგომარეობაში დილაამდის, ასე სძინავთ. ერთგვარი თუთიყუშია, ტანად შაშვის-ოდენა იქნება. ახირებული ზნე-ჩვეულება აქვს: როდესაც ესაქიროება შეისვენოს ან დაიძინოს, ხის ხმელ შტოს მოსჭიდებს ხოლმე კლანჭებს, დაეკიდება თავდაღმა, როგორც ღამურა და არის ისე, სანამ არ შეისვენებს კარგად, ან არ გამოიძინებს. ახლა დამივდეთ ყური, როგორი განკარგულება აქვსთ იმ დროს თუთიყუმებს, როდესაც დაიმუდრებენ\*). რამდენიმე თუთიყუში, ხანში შესული რომელიც არის, დარაჯებად არიან ამ დროს, რომ შეატყობინონ ყველას, თუ რამე საშიშარი იქნა გუნდისათვის. გათენდება თუ არა, მთელი გუნდი აიშლება და მიეშურება საზრდოს საშოვრად. მათს საზრდოს შეადგენს უფრო მცენარეულობა—ხის კვირტები, ქორთა ფოთლები და სხვა და სხვა ხილი მინდვრისა. ძალიან ემტვრებიან თუთიყუმები ხეხილსა და ყანებსაც. არიან იმისთანა თუთიყუმები, რომელნიც მწერებსაცა სჭამენ. რო დასხდებიან სადმე ხეხილზე ან ყანაში, სულ გაანადგურებენ. ამ დროს ძალიან ოსტატურად კი იქცევიან. სხვა დროს ხომ ძალიან უყვარსთ ხმაურობა, ჩხავილი და ყბედობა, ახლა, როდესაც საქურდლაღ სადმე დასხდებიან, მაშინვე ხმას გაიკმედენ და შეუღდებიან ჭამას: მათ პირს გაწყნარება არა აქვს, სჭამენ და სჭამენ. მხოლოდ ნელი ღრუტუნი ისმის ამ დროს მათი, რომელიც იმის ნიშანია, რომ ძალიან მაღიანად შეექცევიან. ამასობაში ორი მოხუცი თუთიყუში მაღალი ხის კენწეროზე ზის და იქით-აქეთ იყურება თვალეზ-გაფაცვიცებით, საფრთხე ხომ არაფერი მოგველისო. როგორც კი გამოჩნდება მტერი, დარაჯები იმ წუთსავე დაიჩხავლებენ რაც ძალი და ღონე აქვსთ

\*) დალაგდებიან ღამის გასათევათ.



და მაშინ მთელი გუნდი აფრინდება და მიეშურება დაბურვილი ტყისაკენ.

რადგან დიდ ზარალს აძლევენ თუთიყუშები სოფლის მეურნეს, ამიტომ არც იგი ჰზოგავს მათ და ცდილობს ბევრი გასწყვიტოს. გულდამწვარი მეურნე მიეპარება მათ, როდესაც იგინი მის ჰირნახულს აფუჭებენ და სიამოვნების ღრუტუნში არიან, მიეპარება ფეხ-აკრფებით თოფიანა, ესვრის და ერთის სროლით ერთს ათიოდეს იქვე სულს გაათრთხობინებს რომელიც გადურჩებიან თოფს, რასაკვირველია, მაშინვე აფრინდებიან მაღლა; ოთხ-ხუთ წამს იქვე ტრიალებენ ჰაერში, ხმა მაღლა ჩხავიან და მერმე ისევ დაუბრუნდებიან დახოცილ ამხანაგებს, მათ გარშემო იწყებენ ტრიალს და საცოდავის ხმით დასტირიან თავზე. ამ დროს მათი მტერი იქვეა თოფითურთ. იგი კიდევ და კიდევ ესვრის თოფს, კიდევ მოჰკლავს რამდენსამე. მაგრამ ამას არ მიხედვენ თუთიყუშები; იგინი მაინც განაგრძობენ დახოცილ ამხანაგების დატირებას. საწყლები არ ჰშორდებიან მკედრებს, როგორმე უნდათ არ დაანებონ მტერსა და იქვე ჰტრიალებენ. ამ დროს გავარდება და კავარდება თოფი; საბრალო თუთიყუშების რიცხვი თანდათან ჰკლებულლობს, ისე რომ ბოლოს მეთოფე თავს ანებებს: ცოტადა დარჩა, აღარ ღირს მათთვის ტყვია-წამლის დახარჯვაო, ამ ვვარად რამდენსამე საათსო, ამბობს ერთი მეურნე, რამდენიმე ასი თუთიყუში მოგკალი და სულ კალათები დავავსე ნანადირევითაო. რომელიც დაიკოდება და ერთბაშად არ მოკვდება თოფისაგან, იმან საოცარი კბენა იცის, თუ როგორმე მოგასწრო. ისეთს ჩაგინისკარტებს, რომ ხორცს ამოგაგლეჯს. თუთიყუშის ხორცი კარგ საქმელათ მიაჩნიათ იმ ქვეყნებში და წიენსაც უჭებენ: კარგი ყუათიანი წვენი იცისო. იქ ველურ ადამიანებს ძვირფას რადმე მიაჩნიათ ფერად-ფერადი ბურტყულ-ნაკრტენები თუთიყუშებისა, რომლითაც უყვართ ხოლმე მორთვა თავის სახისა და ტანისა. ამიტომაც ხშირად ნადირობენ ამ ფრინველზე. ბევრ ადგილას მოშინაურებულთა ჰყავსთ ინდიელებს თუთიყუშები ისე, როგორც ქათმები გვყავს ჩვენ ეზოებში.

თუთიყუშებს იმდენად უყვართ ერთმანერთთან ყოფნა, რომ ჰცდილობენ ერთსა და იმავე ხეზე თუ არა, მახლობელ

ხეებზე გაიკეთონ ბუდეები და გამოჩეკონ ბლარტები, ცოლქმარი განუშორებელია საკვდილამდის. ბუდის კეთებაში ორი იღებს მონაწილეობას. კვერცხებს ხან დედა-თუთიყუში აზის, ხან მამა და საზრდოც ბლარტებისათვის ხან ერის მოაქვს, ხან მეორეს. ორივენი ჰფუფუნებენ და უვლიან შვილებს. ერთის სიტყვით, შთამომავლობის აღზრდაში ცოლქმარს ყოველი შრომა განაწილებული აქვსთ ერთმანეთ შორის. რამდენად უყვარს ცოლქმარს ერთმანერთი, იქიდანა სჩანს, რომ ყაფილა არა ერთი მაგალითი. ერთი მათგანი რომ მომკვდარა, მეორე მწუხარებას მისცემია, მარტოობა ველარ აუტანია და ისიც გამოთხოვებია წუთი სოფელს.

არიან იმისთანა მოდგმის თუთიყუშები, რომ მხოლოდ ორ კვერცხსა სდებენ და ერთხელ გამოჩეკავენ შვილებს წლის განმავლობაში, ზოგიერთები კი, მაგალითად ავსტრალიაში, წელიწადში ორჯერ-სამჯერ მოივსებიან, სამ-სამ—ოთხ-ოთხ კვერცხს დასდებენ ხოლმე და ორჯერ-სამჯერ გამოჩეკავენ ბლარტებს. თუთიყუშის კვერცხი მტრედის კვერცხის ოდენაა, თეთრი, მომრგვალო და ნაჭუჭი უქქისო აქვს. სანამ ბლარტები თოთოები არიან, მათს კუქს არ შეუძლია მაგარი საჭმელი მოიხელოს. ამიტომ მშობლები ჯერ თითონა სჭამენ და, როდესაც საჭმელი საკმაოდ დაბილდება ჩანჩახვში, მერმე ამოუშვებენ ჩანჩახვიდან და შვილებს ჩაუდებენ პირში. თუ რამ საშიშროებაში არიან ბლარტები, მშობლები თავს არ ჰზოგავენ მათთვის, სიცოცხლეს შესწირავენ. დიდი ყურადღების ღირსია, რომ მარტო თავის საკუთარ შვილებისთვის კი არ ჰზრუნავენ, სხვა თუთიყუშის შვილებიც ძალიან ებრალებათ. როდესაც დაობლდებიან ბლარტები, მაშინ მათ სხვა თუთიყუშები გამოუჩინდებიან და ისინი გაუწევენ ხოლმე დედ-მამობას: ეალერსებიან, მტრისაგან იცავენ და ასაზრდოებენ. მოშინაურებულმა თუთიყუშებმა ადამიანის სიყვარულიც იციან. მოგზაურები გვიამბობენ, ამერიკაში, ინდიელების სოფლებში, იშვიათად შეხვდებით მოთამაშე ბოვშების გროვას, რომ მათ შორის მაიმუნებიც და თუთიყუშებიც არ იყვნენო.

შემდეგი იქნება.

აღლქსი ჭიჭინაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

# სახალხო გაზეთი



უოგადდითური სანალიტიკო და სელიტერატურო გაზეთი  
მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარ-  
სულს წელს გამოდიოდა.

უოგად დიურ გამცემის კარდა გაზეთს ექნება

## სურათუბიანი ღამატუბა.

ღამატუბა გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატუბიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან.

80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნამუჩა უვალგან ერთი მუჩო, დამატუბიანი ნომერი (კვი-  
რისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლეღი ფასი 40 კაპ.,

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კით-  
ხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“.

## ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную еже-  
дневную газету

# „Закавказье“

(Годъ VI-й).

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
На годъ . . . . 6 р. — к.	На годъ . . . . 8 р. — к.
На полгода . . . 3 р. 50 к.	На полгода . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. За границу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ ино-  
городняго на городской—50 коп.

Объявленія въ предѣлахъ Кавказа принимаются исключительно въ цен-  
тральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мяс-  
ницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Мор-  
ская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ тек-  
стомъ и 12 к. послѣ текста.

Редакция и контора помѣщается въ Тифлисъ, на Дворцовой ул.,  
въ домъ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели.

Издатель Д. П. Мадчаваріани.

# ჯ ე ჯ ი ლ ი



საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

## ოცლა პეორა წალიწალი

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, პეტარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ედირება

**4 მან**, ქალაქ გარეთ (ვაკსანით) **5 მან**.

ნახევარი წლით **3 მან**, ცალკე ნომერი **40 კაპ**.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში — კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში — კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში — ნიკოა წუწუნავას,

ბათუმში — მისეელ კაღანდაძეს.

ფოსტის ადრები: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джелжили“

ტელ. — გამოცემელი ან. თუმანაშვილი წერტილისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

## „Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинція.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Р. Д. Бебиевъ.

Издатели: { П. А. Готуа.  
Кн. Г. I. Амираджиби.